

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი



იურიდიული ფაკულტეტი

სამაგისტრო ნაშრომი: სისხლის სამართლის მიმართულება

აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების ფორმალური  
საფუძვლების დასაბუთება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში

მაგისტრანტი: შოთა ქემაშვილი

ხელმძღვანელი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ირინა აქუბარდია

ნაშრომი წარდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თბილისი

2019

## სარჩევი

გამოყენებული აბრევიატურა:.....	4
შესავალი.....	5
თავი 1. პატიმრობა, როგორც ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება .....	6
1.1. პატიმრობა როგორც Ultima Ratio. პატიმრობის გამოყენების მიზნები.....	7
თავი 2. პატიმრობის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები.....	13
2.1. პატიმრობის გამოყენების მატერიალური საფუძველი .....	14
2.2. პატიმრობის გამოყენების ფორმალური საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობით და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან. ....	17
2.2.1. ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; .....	19
2.2.2. ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა; .....	22
2.2.3. ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა;.....	24
თავი 3. გარემოებები, რომლებიც ასაბუთებს ბრალდებულის მიმალვის საფრთხეს ....	26
3.1. ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმე. ....	27
3.2. კავშირები საზღვარგარეთ .....	29
3.3. მიმალვის მცდელობა ქმედების ჩადენის შემდგომ ან დაკავებისას. ....	32
3.4. სხვა გარემოებები, რომლებიც ასაბუთებს ბრალდებულის მიმალვის საფრთხეს ...	33
თავი 4. გარემოებები, რომელიც ასაბუთებს ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს .....	39
4.1. ბრალდებულის ნასამართლობა.....	39
4.2. დანაშაულის ხასიათი .....	41
4.3. ახალი დანაშაულის ჩადენა პირობითი მსჯავრის პირობებში.....	42
თავი 5. გარემოებები, რომლებიც ასაბუთებს ბრალდებულის მიერ ინფორმაციის განადგურების საფრთხეს.....	44
5.1. ახლო ნათესაური ან მეგობრული კავშირი მოწმეებთან. ....	44
5.2. ინფორმაცია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთიერ მტკიცებულებებზე.....	46
თავი 6. პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენება საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მაგალითზე .....	50
6.1. პატიმრობის გამოყენება კონტინენტური სამართლის ქვეყნებში; .....	50

6.2. პათიმრობის გამოყენება საერთო სამართლის ქვეყნებში.....	53
თავი 7. პათიმრობის გადასინჯვის და გირაოს პათიმრობით შეცვლის დროს სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული გარემოებები. ....	61
თავი 8. საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი .....	66
თავი 9. პათიმრობის გამოყენების სტატისტიკური მონაცემები და მისი ანალიზი .....	70
დასკვნა.....	72
ბიბლიოგრაფია .....	75

## გამოყენებული აბრევიატურა:

- ❖ სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი
- ❖ სსსკ - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
- ❖ ე. წ. - ეგრეთ წოდებული
- ❖ გვ. - გვერდი
- ❖ აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები
- ❖ ა. შ. - ასე შემდეგ
- ❖ იხ. - იხილეთ
- ❖ სხვ. - სხვა
- ❖ ევროპული კონვენცია - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

## შესავალი

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები იყო და დღემდე ინარჩუნებს აქტუალურობას. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად ხდება საზოგადოების განხილვის საგანი. აღკვეთის ღონისძიებების საჭიროება წარმოშვა უდანაშაულობის პრეზუმფციამ. როდესაც უდანაშაულობის პრეზუმფციით დადგინდა, რომ არავინ ითვლებოდა დამნაშავედ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, შესაბამისად სასამართლოს მიერ საქმის განხილვას სჭირდებოდა დრო, დღის წესრიგში დადგა საკითხი იმის შესახებ, როგორ ყოფილიყო უზრუნველყოფილი ბრალდებულთა სათანადო ქცევა. აღკვეთ ღონისძიებათა შორის ყველაზე მკაცრი არის პატიმრობა. მისი გამოყენების დროს ხდება ბრალდებულის საზოგადოებისაგან იზოლირება და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს იმ გარემოებათა დეტალურ შესწავლას, რომლის არსებობის გამოც ხდება საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ პატიმრობის გამოყენების, ძალაში დატოვების ან შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილებათა მიღება. ნაშრომში წარმოდგენილი იქნება პატიმრობის გამოყენების, შეცვლის ან ძალაში დატოვების შესახებ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არსებული პირველი ინსტანციის სასამართლოს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის გადაწყვეტილებები და მოხდება ამ გადაწყვეტილებათა და გარემოებათა ანალიზი. ზემოთ აღნიშნული გარემოებების ანალიზისათვის ასევე გამოყენებული იქნება იურიდიული ლიტერატურა და პირადი გამოცდილებიდან მოყვანილი იქნება მაგალითები. ნაშრომში ასევე წარმოდგენილი და განხილული იქნება ის გარემოებები, რომელთა საფუძველზეც ხდება პატიმრობის გამოყენება საერთო სამართლის და კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში და მოხდება მათი შედარება ქართულ სასამართლო პრაქტიკასთან. ნაშრომში არის წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, სადაც ასევე მითითებულია ის გარემოებები, რომელთა არსებობის გამოც გამართლებულია ბრალდებულისათვის პატიმრობის შეფარდება. ნაშრომში გამოყენებული იქნება შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და სისტემური კვლევის მეთოდები, მოძიებული ინფორმაცია კი ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით დამუშავდება.

ნაშრომი შედგება შესავალისგან, 8 თავისგან და დასკვნისაგან. თავები დაყოფილია ქვესაკითხებად. ნაშრომის პირველ თავში განხილული არის პატიმრობა როგორც ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. მითითებულია ის გარემოებები, რომელთა საფუძველზეც სასამართლო ასკვნის, რომ მიზანშეუწონელია ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.

ნაშრომის მეორე თავში არის განხილული პატიმრობის გამოყენებისათვის საჭირო ფორმალური და მატერიალური საფუძვლები. მასში არის განმარტებული თუ რას ნიშნავს ის მიზნები, რომელთა მიღწევისათვის ხდება ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენება.

მე-3, მე-4 და მე-5 თავებში არის განხილული ის გარემოებები, რომელთა საფუძველზეც ხდება ბრალდებულის მიმალვის, ინფორმაციის განადგურების და ახალი დანაშაულის ჩადენის მიმართ დასაბუთებული ვარაუდის არსებობის დადასტურება.

მე-6 თავში მოცემულია კონტინენტური ევროპის და საერთო სამართლის ქვეყნების პრაქტიკა და მათი შედარება ქართულ სასამართლო პრაქტიკასთან.

მე-7 თავში მოცემულია პატიმრობის გადასინჯვის და გირაოს პატიმრობით შეცვლის დროს სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული გარემოებები. მასში მითითებულია როდის ხდება სასამართლოს მიერ ბრალდებულისათვის შეფარდებული პატიმრობის გადასინჯვა, მათი შეცვლა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებით, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებათა პატიმრობით შეცვლა და რას ითვალისწინებს სასამართლო ამ გადაწყვეტილებათა მიღებისას.

მე-7 თავში მოცემულია პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებული საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოების და თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზი და დასკვნები.

მე-8 თავში მოცემულია პატიმრობის გამოყენების სტატისტიკური მონაცემები და მისი ანალიზი.

## თავი 1. პატიმრობა, როგორც ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება

თუ როდესაც არსებობს ბრალდებულის მიმალვის და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის, ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლისა და ახალი დანაშაულის ჩადენის რეალური საფრთხეები და პატიმრობაზე ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით ვერ იქნება უზრუნველყოფილი ბრალდებულის სათანადო ქცევა, საჯარო ინტერესის დაცვას უპირატესობა ენიჭება ბრალდებულის უფლებებთან შედარებით და მას ეფარდება პატიმრობა. „პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენება

დაიშვება სისხლის სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. გამონაკლისია - გამოძიების ეტაპი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე და განაჩენის აღსრულება.<sup>1</sup>

„აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბრალდებულის მიერ ზიანის ანაზღაურება, ბრალდებულის/მისი ოჯახისწევრის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არსებობა, ქოვბრივი მდგომარეობა, რჩება თუ არა ოჯახს მარჩენალი, ოჯახის წევრების ასაკი (ხანდაზმულები, არასრულწლოვნები, მცირეწლოვნები).

პატიმრობა არის ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. ის უფრო მეტად ზღუდავს ბრალდებულის უფლებებსა და თავისუფლებებს, ვიდრე სხვა აღკვეთის ღონისძიებები. ამის გამო, ბრალდებულის მიმართ, პატიმრობის გამოყენება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით, ვერ იქნება უზრუნველყოფილი ზემოთ დასახელებული მიზნების მიღწევა. ამ თავში დახასიათებული იქნება პატიმრობა, როგორც ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. ამ საკითხან დაკავშირებით განხილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები.

## 1.1. პატიმრობა როგორც Ultima Ratio. პატიმრობის გამოყენების მიზნები.

პატიმრობის გამოყენების მიზნებს განსაზღვრავს სსსკ-ის 205-ე მუხლის პირველი ნაწილი. მის თანახმად: „პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული:

- ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა;
- ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა;
- გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.“

---

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექტ. თბ., 2015, გვ. 558.

პატიმრობის გამოყენების მიზნები მითითებულია ასევე სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-12 ნაწილში. მის თანახმად: „ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით არ უნდა შეეფარდოს პატიმრობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მისი მიმალვის, შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის, მონაწილეობის, მტკიცებულების განადგურების ან განაჩენის აღუსრულებლობის საფრთხე.“

ბრალდებულის მიმართ შესაძლებელია პატიმრობის გამოყენება სსსკ-ის 205-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული მიზნებიდან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში ისე, რომ სავალდებულო არ არის არსებობდეს სამივე მიზანი კუმულაციურად. ამასთან, სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობის გამოსაყენებლად აუცილებელია პატიმრობის გამოყენებისათვის საჭირო მიზნების დასადასტურებლად შეკრებილი მტკიცებულებები ქმნიდეს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, „პატიმრობის გამოყენების და სხვა სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებლობის მიზანშეუნაღობის დადასტურების ვალდებულება აქვს პროკურორს.“

ბრალდებულისათვის პატიმრობის გამოყენების მესამე საფუძველს წარმოადგენს მომავალში მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა. ვინ რა მოქმედებას განახორციელებს მომავალში ამის წინასწარ უტყუარად დადგენა შეუძლებელია.<sup>2</sup> ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებები უნდა ქმნიდეს მხოლოდ დასაბუთებულ ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდებული მომავალში ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.“

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი უპირატესობას ანიჭებს პირის გათავისუფლებას გამოცხადების გარანტიებით. შესაბამისად, იმისათვის, რომ შესრულდეს კონვენციის აღნიშნული დანაწესი, აუცილებელია პატიმრობის გამოყენების განჩინებაში დასაბუთებული იყოს ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუნაღობა.

<sup>2</sup> იხ. ი. გაბისონია, აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, 2003, გვ. 16

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე Buzadji v. Republic of Moldova<sup>3</sup> განმარტა, რომ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, ეროვნულ სასამართლოებს არ აქვს უფლება ბრალდებულს შეფარდონ პატიმრობა, როდესაც არსებობს მისი გათავისუფლების საფუძვლები. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე ბრალდებული ითვლება უდანაშაულოდ და უპირატესობა უნდა მიენიჭოს მის გათავისუფლებას.

პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე Stogmuller v. Austria განმარტა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უპირატესობა უნდა მიანიჭონ პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებას.<sup>4</sup> სსკ-ის 198-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: „სასამართლო უფლებამოსილია ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.“ პატიმრობაზე ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებებია: გირაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, პირადი თავდებობა, შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ. შესაბამისად სასამართლომ ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა დაასაბუთოს თუ რატომ არის მიზანშეუწონელი ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა შესაძლებელია დასაბუთდეს იმ გარემოებაზე დაყრდნობითაც, რომ დასაბუთებული ვარაუდით დანაშაულის ჩადენამდე, სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, ბრალდებულს უკვე ჰქონდა შეფარდებული არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება.<sup>5</sup> არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება ბრალდებულს ეფარდება იმის გამო, რომ მისი მხრიდან, აღიკვეთოს ახალი დანაშაულის ჩადენა. თუ ბრალდებული არის არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების ქვეშ და ის დასაბუთებული ვარაუდით კვლავ ჩაიდენს ახალ დანაშაულს, გამოდის, რომ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებამ ვერ უზრუნველყო ახალი დანაშაულის ჩადენის პრევენცია და მისი კვლავ გამოყენება არის მიზანშეუწონელი. მაგალითისათვის, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 ოქტომბრის N 10/ა-351/18 განჩინებით, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით ბრალდებულ დ.ბ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით განესაზღვრა პატიმრობა იმის გამო, რომ დასაბუთებული ვარაუდით ბრალად

<sup>3</sup> Buzadji v. Republic of Moldova - 23755/07; 05.07.2016.  
[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":\["001-164928"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

<sup>4</sup> Stogmuller v. Austria. საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა. ნ. მჭედლიძე, თბ., 2017, გვ. 48.

<sup>5</sup> იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 ოქტომბრის N 10/ა-351/18 განჩინება.

წარდგენილი ქმედების ჩადენამდე, ბრალდებულს ანალოგიური დანაშაულის ჩადენისათვის (დასაბუთებული ვარაუდით) აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა გირაო. სასამართლომ განმარტა, რომ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების ქვეშ მყოფი ბრალდებულის მხრიდან, დასაბუთებული ვარაუდით, ახალი დანაშაულის ჩადენა მიუთითებდა, რომ ბრალდებულის მხრიდან მომავალში ახალი დანაშაულის ჩადენის აღკვეთას ვერ უზრუნველყოფდა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება.

„თუ ბრალდებულს შეფარდებული აქვს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება და მას კვლავ წარედგინება ბრალდება ახალი დანაშაულის ჩადენისათვის, ბრალდებულს შესაძლებელია სასამართლომ არ შეუფარდოს არცერთი აღკვეთის ღონისძიება იმ დასაბუთებით, რომ მას უკვე აქვს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება სხვა სისხლის სამართლის საქმეზე.“<sup>6</sup> აღნიშნული შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალად წარდგენილი ყველა ქმედება ბრალდებულს, დასაბუთებული ვარაუდით, ჩადენილი აქვს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების შეფარდებამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს ბრალად წარდგენილი ქმედება ჩადენილი აქვს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემდეგ, შესაძლებელია ეს ფაქტი გამოყენებულ იქნეს ბრალდებულის საწინააღმდეგოდ, რადგანაც მას ჰქონდა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება შეფარდებული იმ მიზნით, რომ არ ჩადენა ახალი დანაშაული, უზრუნველყოფილი ყოფილიყო მისი სათანადო ქცევა, მაგრამ მან არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების ქვეშ, დასაბუთებული ვარაუდით, კვლავ ჩადინა ახალი დანაშაული, რაც პირდაპირ მიუთითებს, რომ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების მის მიმართ გამოყენება ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას და საჭიროა ბრალდებულს შეეფარდოს პატიმრობა. ზემოთ ხსენებულ მოსაზრებას იზიარებს და თავის გადაწყვეტილებაში განამტკიცებს თბილისის სააპელაციო სასამართლო.<sup>7</sup>

თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 2017 წლის 13 აპრილის განჩინებით, სისხლის სამართლის N 039030217002 საქმეზე, 238-ე პრიმა მუხლით ბრალდებულ ს.გ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით განესაზღვრა გირაო. მართალია მას აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემდგომ, კვლავ წარედგინა ბრალი სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, (ორი ეპიზოდი) მაგრამ სასამართლომ ბრალდებულის მიმართ არ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა იმის გამო, რომ ქურდობის ეპიზოდები ბრალდებულს დასაბუთებული ვარაუდით ჩადენილი ჰქონდა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებამდე.

<sup>6</sup> საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, ავტ. კოლექტ. თბ., 2017, გვ. 258

<sup>7</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N 1/გ566-17 განჩინება

პატიმრობა არის ყველაზე მკაცრი ზემოქმედების ღონისძიება. ის ითვლება სასჯელის მოხდის ვადაში. პატიმრობის გამოყენების დროს ხდება უდანაშაულო ადამიანის ისეთივე პირობებში მოთავსება, როგორშიც არიან მსჯავრდებულები. „დაპატიმრება არის ისეთი სიკეთის ხელყოფა როგორცაა შრომის, დასვენების, განათლების, საცხოვრებელი ადგილისა და ადამიანთა სასურველი გარემოცვის თავისუფლად არჩევის უფლება. დიდი რუსი მწერალი თ. დოსტოევსკი, რომელმაც საკუთარ თავზე იწვინა ხანგრძლივი დროის მანძილზე პატიმრობაში ყოფნის სიმწარე, ყველაზე მტკივნეულად აღიქვამდა იმ გარემოებას, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე იძულებით თანაცხოვრება მოუხდა აბსოლუტურად განსხვავებული ასაკის, განათლების, ინტელექტისა და რელიგიური მრწამსის ადამიანებთან, რაც ყოველთვის თან ახლავს პირის საზოგადოებისგან იზოლაციას.“<sup>8</sup>

სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს ვალდებულებებს, რომლებიც შესაძლებელია დაეკისროს ბრალდებულს არასაპატიმრო აღკვეთ ღონისძიებასთან ერთად. იმ შემთხვევაშიც, კი თუ დგინდება, რომ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება, ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის ან მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელის შეშლის საფრთხეების აღკვეთას, პატიმრობა არ უნდა იქნეს გამოყენებული. ჯერ უნდა შემოწმდეს ბრალდებულისათვის არასაპატიმრო აღკვეთ ღონისძიებასთან ერთად სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულებების კუმულაციურად დაკისრება იქნება თუ არა აღკვეთის ღონისძიების მიზნების მისაღწევად საკმარისი. სასამართლომ პატიმრობა უნდა გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩათვლის, რომ ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების კუმულაციურად გამოყენება, მაინც ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას. პატიმრობის საგამონაკლისო ბუნებას გამოხატავს სსსკ მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც: „უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას.“ არასაპატიმრო აღკვეთ ღონისძიებასთან ერთად სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულებების ბრალდებულისათვის დაკისრება, უფლებრივად უფრო ნაკლებად ზღუდავს მას, ვიდრე, მის მიმართ, პატიმრობის გამოყენება. მაგალითისათვის, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით, ბრალდებულ მ.ი-ს აღკვეთის ღონისძიებად განესაზღვრა გირაო. ბრალდებული იყო საქართველოს და ისრაელის მოქალაქე. ბრალდებულს თავისუფლად შეეძლო გადასულიყო უცხო სახელმწიფოში, სადაც მას ჰქონდა მუდმივად დარჩენის შესაძლებლობა, რასაც ბრალდებული გამოიყენებდა მიმალვისათვის. ამ გარემოებათა გამო, სასამართლომ ჩათვალა, რომ მხოლოდ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების - გირაოს გამოყენება, ვერ უზრუნველყოფდა ბრალდებულის მხრიდან მომდინარე მიმალვის

<sup>8</sup> იხ. ვ. ბენიძე, დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, 2003, გვ. 36

საფრთხის განეიტრალებას, მაგრამ სასამართლომ მაინც არ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა. სასამართლომ ბრალდებულს შეუფარდა გირაო 5000 ლარის ოდენობით და დააკისრა ვალდებულება, რომ პასპორტი და პირადობის მოწმობა ჩაებარებინა საგამოძიებო ორგანოებისათვის. მოცემულ შემთხვევაში, დამატებითი ვალდებულების დაკისრებით სასამართლომ ბრალდებულს არ მისცა საშუალება, რომ მას გამოეყენებინა თავისი შესაძლებლობები უცხო სახელმწიფოში გადასვლისათვის, რაც ბრალდებულს შეეძლო გამოეყენებინა მიმალვისათვის.<sup>9</sup> „აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „თავისთავად ის, რომ ბრალდებული უცხოელია, გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი და საბანკო ანგარიში ან სამსახური საზღვარგარეთ, არ მიუთითებს მიმალვის საფრთხის არსებობაზე, ისევე როგორც თავისთავად ის ფაქტი, რომ პირს არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.“<sup>10</sup>

ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებამდე, სასამართლო თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე ამოწმებს იმას, თუ საპროცესო მოქმედებათა განხორციელებისას ჰქონდა თუ არა ადგილი არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევებს, რაც გამოიწვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, მაგალითად, ბრალდებული დაკავებული იქნა თუ არა მოსამართლის განჩინების საფუძველზე; დაკავებისას შედგენილი იყო თუ არა დაკავების ოქმი; განემარტა თუ არა ბრალდებულს საპროცესო უფლებები და სხვა. ამგვარი არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევები იწვევს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას.<sup>11</sup>

სასამართლო ვალდებულია თითოეულ შემთხვევაში განჩინება სრულყოფილად დაასაბუთოს და მასში მიუთითოს ყველა ის გარემოება, რომელიც საფუძვლად დაედო პატიმრობის გამოყენებას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სამეფო POLONSKIY V. RUSSIA, არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებას საფუძვლად დაედო ნასამართლობა და საცხოვრებელი ადგილის არქონა, რადგანაც ეს არ იყო მითითებული პატიმრობის გამოყენების თაობაზე სასამართლოს განჩინებაში.<sup>12</sup>

<sup>9</sup> იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 15 სექტემბრის N 10/დ-535/18 განჩინება.

<sup>10</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. ავტ. კოლ. თბ., 2015, გვ. 562.

<sup>11</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის პირველი ივლისის N 1/გ-621 განჩინება.

<sup>12</sup> იხ. ნ. ხაინდრავა, ბ. ბოხაშვილი, თ. ხიდაშელი, წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, 2010, გვ. 22

## თავი 2. პატიმრობის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები

ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებისათვის აუცილებელია, რომ პროკურორის შესაბამის შუამდგომლობაზე დართული მასალები ქმნიდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული. ეს წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მატერიალურ საფუძველს. ზემოთ ხსენებული მტკიცებულებები უნდა ქმნიდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ბრალდებული მიიმალება, ხელს შეუშლის მტკიცებულებების მოპოვებას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ეს წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალურ საფუძველს. პატიმრობის, ისევე როგორც სხვა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელია მატერიალური და ფორმალური საფუძვლების დასაბუთება. სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის საჭირო მტკიცებულებები უნდა ქმნიდეს დასაბუთებული ვარაუდის მტკიცებით სტანდარტს. სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი როგორც პატიმრობის, ისე სხვა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის დადასტურებისათვის ერთიან მტკიცებით სტანდარტს აწესებს, მაგრამ რადგანაც პატიმრობის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა აღკვეთის ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფენ აღკვეთის ღონისძიებების მიზნების მიღწევას, ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობის დაყენებისას, ზემოთ აღნიშნული ფორმალური და მატერიალური საფუძვლები უნდა იყოს იმაზე მეტად დასაბუთებული, ვიდრე სხვა აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნისას.

„დასაბუთებულ ვარაუდს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გვაძლევს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებათა ერთობლიობა, სადაც მაქსიმალურად უნდა იყოს წარმოჩენილი ფაქტები და ინფორმაცია, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებდა, რომ შესაძლოა არსებობდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ერთ-ერთი საფუძველი მაინც.“<sup>13</sup>

ამ თავში მოცემულია პატიმრობის გამოყენებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფორმალური საფუძვლების დახასიათება. ფორმალური საფუძვლების დახასიათება მოცემულია უფრო ვრცლად. თითოეული მათგანი აღწერილია ცალკე ქვეთავში.

<sup>13</sup> ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2012. გვ. 50.

## 2.1. პატიმრობის გამოყენების მატერიალური საფუძველი

„აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დაიშვება, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ცდენის შესახებ და დადგენილია დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გარემოებები, რაც ხელს უწყობს ობიექტურად შეფასდეს ბრალდებულის საშიშროება, მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელების ხელის შეშლის მიზნით მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების დასაბუთებულად პროგნოზირება.“<sup>14</sup>

„აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნამდე ბრალდების მხარემ სრულყოფილად უნდა მოიძიოს მტკიცებულებები დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტთან მიმართებით, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნება უარის თქმის საფუძველი. მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციისათვის სხვა საკითხებთან ერთად დადგენილი უნდა იქნეს ქონების დაუფლების ხასიათი, დაუფლების განზრახვა და ქონების ღირებულება. სსკ-ის 273-ე მუხლზე - პრეიულიციული ფაქტების არსებობა და ა.შ. შესაბამისად, რომელიმე აღნიშნული გარემოების დაუდასტურებლობის შემთხვევაში, სასამართლო მოკლებული იქნება იმსჯელოს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე, ვინაიდან სახეზე არ იქნება დანაშაულის შემადგენლობა“<sup>15</sup>

სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად: „დასაბუთებული ვარაუდი არის ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი.“ მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი ადგენს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოსაყენებლად შეკრებილი მტკიცებულებები უნდა ქმნიდეს დასაბუთებული ვარაუდის მტკიცებით სტანდარტს.

სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად: „შუამდგომლობის დასაბუთებულობისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძველების შემოწმების შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება.“ სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-2 წინადადება განსაზღვრავს იმას თუ რომელი ფაქტები უნდა დადასტურდეს დასაბუთებული ვარაუდით. ზემოთ ხსენებული მუხლებიდან გამომდინარეობს, რომ პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის

<sup>14</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექტი. თბ., 2015, გვ. 558.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 559

აუცილებელია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებები ქმნიდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა და (ეს არის ალკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძველი.) სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები უნდა ქმნიდეს დასაბუთებულ ვარაუდს იმ გარემოებათა არსებობის მიმართ, რომლებიც მითითებულია სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილში, კერძოდ „ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.“ ეს არის ალკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძველი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული, მხოლოდ ირიბი მტკიცებულების საფუძველზე, პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა.<sup>16</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მხოლოდ ირიბი მტკიცებულებების საფუძველზე პირის მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მესამე ნაწილს, რომლის თანახმდაც: „დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის თაობაზე და საბრალდებო დასკვნა უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს.“ შესაბამისად, თუ ბრალდების მხარე ალკვეთის ღონისძიების შუამდგომლობას ურთავს მხოლოდ ირიბ მტკიცებულებებს და ამგვარად ცდილობს დაადასტუროს ბრალდებულის მიერ, დასაბუთებული ვარაუდით, ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენა, სასამართლომ არ უნდა შეუფარდოს ბრალდებულს ალკვეთის ღონისძიება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში იქნება საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლთან და საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ ხსენებულ გადაწყვეტილებასთან.

ალკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს არსებობს თუ არა დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა ბრალად წარდგენილი ქმედება. ამ საკითხის განხილვისას სასამართლო ვერ ასცდება მსჯელობას იმ საკითხთან დაკავშირებით, სწორად მოახდინა თუ არა პროკურორმა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია.<sup>17</sup> მაგალითისათვის, თუ პროკურორის მიერ, ბრალდებულის მიმართ ალკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, შუამდგომლობაზე დართული მტკიცებულებების ასლებით ჩანს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება და მას ბრალად აქვს წარდგენილი მკვლელობის მცდელობა, ამასთან ყველა მტკიცებულება მიუთითებს მხოლოდ ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების დასაბუთებულ ვარაუდით ჩადენაზე და არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომელიც შექმნის დასაბუთებულ ვარაუდს პირის მიერ მკვლელობის მცდელობის ჩადენასთან დაკავშირებით, სასამართლომ

<sup>16</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება N 1/1/548, პუნქტი 53.

<sup>17</sup> იხ. ი. გაბისონია, ალკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, 2003, გვ. 43

შუამდგომლობის განხილვისას არ უნდა ჩათვალოს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე შვედური მტკიცებულებები ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ პირმა ჩაიდინა ბრალად წარდგენილი ქმედება, მაგრამ ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით სასამართლოს არ შეუძლია უარი თქვას აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე. თუ სისხლის სამართლის საქმეზე შვედური მტკიცებულებები ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ პირმა ჩაიდინა ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, სასამართლოს შეუძლია ბრალდებულს მაინც შეუფარდოს აღკვეთის ღონისძიება, (თუ დადასტურებულია შესაბამისი ფორმალური საფუძვლებიც) მაგრამ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის განსაზღვრისას არ უნდა გაითვალისწინოს ის არგუმენტი, რომ ბრალად წარდგენილი ქმედება სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 15 წლამდე, ასევე არ უნდა გაითვალისწინოს სხვა არგუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია, ბრალდებულის მიერ, დასაბუთებული ვარაუდით, მკვლელობის მცდელობის ჩადენასთან.

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის “c” ქვეპუნქტის თანახმად: „ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, ესენია: პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა.“

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე De Jong, Baljet and van den Brink v. Netherlands განმარტა, რომ პირის დასაკავებლად და სასამართლოს წინაშე წარსადგენად აუცილებელია საფუძვლიანი ეჭვის არსებობა შესაძლო დანაშაულის ჩადენის მიმართ.<sup>18</sup>

„თვით ტერმინი „ეჭვი“ გულისხმობს გაურკვევლობის ელემენტის არსებობას. აუცილებელი არ არის, რომ ადამიანის ბრალეულობა უტყუარად იყოს დამტკიცებული, რადგან გამოძიების მიზანია იმის გარკვევა, საკმაოდ მაღალია თუ არა ასეთი ბრალეულობის ალბათობა საბრალდებო დასკვნის მოსამზადებლად. პოლიციას არ სჭირდება ისეთი მტკიცებულება, რომელიც საკმარისი იქნებოდა ბრალდების წარსადგენად. ჩრდილოეთ ირლანდიაში არსებული ვითარების გათვალისწინებით სასამართლომ მოგვიანებით განხილულ ორ საქმეში დაადგინა, რომ ეს მოთხოვნები იყო დაკმაყოფილებული. ერთ-ერთ საქმეში განმცხადებელი ეჭვმიტანილი იყო ირლანდიის რესპუბლიკური არმიისათვის იარაღის მინოდებაში. მისი ძმა იყო ჩართული ამ საქმიანობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში და განმცხადებელი მასთან

<sup>18</sup> De Jong, Baljet and van den Brink v. Netherlands. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული, თარგმანი ლ. ჭელიძე, 2004, გვ.247

სტუმრად იმყოფებოდა. ერთ-ერთ საქმეში პოლიციამ პირი დააკავა დაუდგენელი ინფორმაციების მიერ მონოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მას შეეძლო დაყრდნობოდა იმ პოლიციელების კეთილინდობის იერებებს, რომლებმაც მონანიღობა მიიღეს პირის დაკავებაში და არც რაიმე მინიშნება იმის შესახებ, რომ დაკავება გახორციელებული იყო ბოროტი განზრახვით ან ადგილი ჰქონდა ძალაუფლების თვითნებურ გამოყენებას. ტეროზიზმთან ბრძოლის გათვალისწინებით სასამართლომასევე განმარტა, რომ ზღვარი იმ შემთხვევებს შორის, როდესაც დაკავების საფუძველად არსებული ეჭვი საკმარისად არ ეყრდნობა ობიექტურ გარემოებებს და როდესაც საკმარისად ეყრდნობა ასეთ გარემოებებს, ძალზე მყიფეა. ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევებში ყველაფერი დამოკიდებულია თითოეულ საქმეში მოცემულ კონკრეტულ გარემოებებზე.<sup>19</sup>

## 2.2. პატიმრობის გამოყენების ფორმალური საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობით და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან.

სსსკ-ის 205-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად: „შუამდგომლობის დასაბუთებულობისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება.“ სსსკ-ში აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის საჭირო ფორმალური საფუძვლები ნახსენები არის მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ მუხლში და მის დეფინიციას სსსკ-ი არ შეიცავს. სიტყვა ფორმალურს ფრჩხილებში მითითებული აქვს სიტყვა საპროცესო. თვით ტერმინი ფორმალური ანუ საპროცესო იმთავითვე მიუთითებს იმაზე რომ საუბარია წმინდა საპროცესო ფორმისმიერ სამართლებრივ ფენომენზე, განსხვავებით ფაქტობრივი მტკიცებულებითი საფუძვლისაგან.<sup>20</sup> მოსამართლის მიერ ფორმალური ანუ საპროცესო საფუძვლების შემოწმება ნიშნავს იმას, სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებული არის თუ არა პროკურორის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის საჭირო მიზეზები, რაც მოცემულია სსსკ-ის 198-ე მუხლის და 205-ე მუხლების პირველ ნაწილებში. სსსკ-ის 198-ე მუხლში მოცემული ფორმალური საფუძვლები უნდა იქნეს პროკურორის მიერ

<sup>19</sup> შ. ტრექსელი. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. თბ. 2010წ. გვ. 471-472.

<sup>20</sup> იხ. ი. გაბისონია, აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, 2003, გვ. 36

დადასტურებული იმ შემთხვევაში, როდესაც ის ითხოვს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, ხოლო სსსკ-ის 205-ე მუხლის პირველ ნაწილში არსებული ფორმალური საფუძვლების არსებობა პროკურორმა უნდა დაასაბუთოს მაშინ, როდესაც ის ითხოვს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენებას.

სსსკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება.“

არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ერთ-ერთ ფორმალურ საფუძველს წარმოადგენს ის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს განაჩენის აღსრულება. ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება ნიშნავს იმას, რომ ბრალდებულს, აღკვეთის ღონისძიების სახით, უნდა დაეკისროს ვალდებულება მისი მხრიდან იმ მოქმედებათა აღსაკვეთად, რომლითაც მას აქვს შესაძლებლობა ხელი შეუშალოს განაჩენის აღსრულებას. ამასთან კანონში არ არის დაკონკრეტებული ის, თუ განაჩენის რომელი დებულების აღსრულებას შეიძლება შეუშალოს ხელი ბრალდებულმა. სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაში ყველაზე ხშირია შემთხვევები, როდესაც ბრალდებული მიმალვით ხელს უშლის განაჩენი აღსრულებას სასჯელის ნაწილში, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ განაჩენით არ ხდება მხოლოდ პირის დამნაშავედ ცნობა და სასჯელის დანიშვნა. განაჩენის დადგომის შემდგომ, უნდა გადაწყდეს სისხლის სამართლის საქმეში არსებული ნივთიერი მტკიცებულებების ბედიც. თუ სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთი, გამოძიების მიმდინარეობისას ამოღებული იყო დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და ის წარმოადგენდა დაცვის მხარის მტკიცებულებას, განაჩენის აღსრულების მიზნის უზრუნველყოფა შესაძლებელია გულისხმობდეს ბრალდებულისგან იმ ქმედებათა აღკვეთას, რომლითაც ხელი შეეშლება ამ ნივთიერი მტკიცებულების სხვა მესაკუთრისათვის გადაცემას. მაგალითად, გამოძიების მიმდინარეობისას ბრალდებულმა გაიგო, რომ მისი თანამზრახველი აპირებდა გამოძიებასთან თანამშრომლობას და ფარულად დაუფლებული ქონების მდებარეობის შესახებ გამომძიებლისთვის ინფორმაციის მიწოდებას. ადვოკატმა გამოკითხა ბრალდებული, რომელმაც გამოკითხვის ოქმში მიუთითა თუ სად ინახებოდა მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ქონება. ადვოკატმა სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, რომ ვითომდა გამოძიებასთან თანამშრომლობის ფარგლებში დაცვის მხარეს მისცემოდა შესაძლებლობა, ამოეღოთ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთი. სინამდვილეში მათ მიზანს წარმოადგენდა ბრალდების მხარისათვის დაესწროთ ნივთის ამოღება, რათა მასზე საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა კვალი წაეშალათ. (დაცვის მხარის შუამდგომლობით ამოღებული ნივთის პირველადი გამოკვლევის უფლება აღარ აქვს ბრალდების ხმარეს, რადგანაც სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი,

საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.<sup>21</sup> შესაბამისად, ნივთის ამოღების შემდგომ, ბრალდების მხარეს აღარ შეუძლია, რომ პირველად თვითონ ჩაატაროს ნივთის დათვალიერება, რომლის ფარგლებშიც ნივთისგან აიღებს მნიშვნელოვან კვლებს.

## 2.2.1. ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა;

სსსკ-ი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებას მიზანშეწონილად მიიჩნევს, რათა ბრალდებული არ მიიმალოს და ამით ხელი არ შეუშალოს მართლმსაჯულების განხორციელებას. ბრალდებული შესაძლებელია მიიმალოს სხვა სახელმწიფოში გადასვლით. ამ შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო ორგანოებს ერთმევათ შესაძლებლობა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელონ სამძებრო ღონისძიებები, ბრალდებულის სასამართლოში წარსადგენად. ბრალდებული შესაძლებელია მიიმალოს საქართველოს ტერიტორიაზეც. მაგალითად, მიატოვოს საცხოვრებელი ადგილი, საცხოვრებლად გადავიდეს საქართველოს სხვა ქალაქსა თუ სოფელში. ბრალდებულის მიმალვის შემთხვევაში ხელი ეშლება მართლმსაჯულების განხორციელებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით დანიშნული სასჯელი შესაძლებელია აღუსრულებელი დარჩეს.

„მიმალვის საფრთხის დასაბუთებისათვის შეიძლება მითითებული იქნეს შემდეგ ფაქტებზე - მაგალითად ბრალის წაყენების შემდეგ (გაფრთხილების მიუხედავად) პირი დაკავებულ იქნა საზღვრის გადაკვეთისას, პირს გააჩნია მკაფიოდ გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულება პატიმრობისადმი, წინააღმდეგობის გაწევა დაკავებისას, მიმალვს გეგმის კონკრეტულად იდენტიფიცირებადი ნიშნების არსებობა, წინათ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების დარღვევა, (იგივე ან სხვა საქმეზე) სხვა საქმეებზე დიდი ხნის მანძილზე ძებნაში ყოფნა, ამ საქმეზე პირის მიმართ ძებნის გამოცხადება, (თუ ბრალდებული უარს აცხადებს გამოცხადდეს გამოძიების ორგანოში/სასამართლოში, მაგრამ იმავდროულად არ ტოვებს საცხოვრებელ ადგილს და აგრძელებს ჩვეულ რიტმში ცხოვრებას, აღნიშნული არ მეტყველებს მიმალვის სურვილის არსებობაზე და არ წარმოადგენს მიმალვის საფრთხის მტკიცებულებას) პრისმიერ წარსულში სასჯელის მოხდისაგან თავის არიდების მიზნით გაქცევა ან გაქცევის მცდელობა, საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობა

<sup>21</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/4/809, პუნქტი 39.

(ბრალდებული გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავს არიდებდა გამოძიებას ანსასამართლოს) და სხვა.<sup>22</sup>

ბრალდებული შესაძლებელია თავს არიდებდეს სამართალდამცავ ორგანოებში გამოცხადებას, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ გამოძახების მიუხედავად ის არ გამოცხადდეს გამოძიების მწარმოებელ ორგანოში, მაგრამ მიმალება გულისხმობს არა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ პიროვნება არ ცხადდება საგამოძიებო ორგანოში, არამედ იმას, რომ მან შეიცვალა თავისი საცხოვრებელი ადგილი, მისი ადგილსამყოფლის შესახებ არ იციან სამართალდამცავმა ორგანოებმა. სწორედ მხოლოდ მიმალება ითვლება პირის მიმართ პატიმრობის გამოყენების საფუძვლად.<sup>23</sup>

„თუ პირი არ ცხადდება გამოძიების ორგანოში არასაპატიო მიზეზით, ალბათობა იმისა, რომ ის არ გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე, მაღალია. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საპროცესო სტატუსის მატარებელი იყო პირი წინა სამართალწარმოებაში. თუ ბრალდებული გამოძიების ორგანოში ვერ გამოცხადდა საპატიო მიზეზით - სტაციონარული მკურნალობის გამო (მაგალითად ტვინის შერყევა, ინსულტი) რაც დასტურდება სამედიცინო დანვსებულების მიერ გაცემული ცნობით, აღნიშნული არ წარმოადგენს მიმალების საფრთხის დამადასტურებელ ვარგის არგუმენტს, ისევე როგორც გამოძიების ორგანოში ერთჯერადად გამოუცხადებლობა.“<sup>24</sup>

„შეუძლებელია მიმალების საფრთხის აბსტრაქტულად არსებობა, თუკი მის რეალურობას კონკრეტული გარემოებები არ განაპირობებს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულის მიმალების საფრთხის შეფასებისას მხედველობაში იქნეს მიღებული როგორც პიროვნების ხასიათის თავისებურებები, ისე საქმეთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება და მოსალოდნელი სასჯელის ხასიათი. ამასან, უნდა შეფასდეს, სასჯელის სიმძიმე შეიძლება თუ არა წარმოშვას მიმალების სურვილი და ამასთან, იმ ობიექტური გარემოებების არსებობა, რამაც შეიძლება სისრულეში მოიყვანოს ბრალდებულის ასეთი სურვილი. ამის შესაფასებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებულის ხელთ არსებული ფინანსური რესურსები, ქონება, რომლის დატოვებაც მას მოუწევს მიმალების შემთხვევაში; ოჯახური მდგომარეობა და კავშირები; ბრალდებულის კავშირები საზღვარგარეთ; მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრე; ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის განსაკუთრებული პირობები და ა.შ.“<sup>25</sup>

<sup>22</sup> საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, ავტ. კოლექტ., 2017, გვ. 263-264.

<sup>23</sup> იხ. ი. გაბისონია, აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, 2003, გვ. 15

<sup>24</sup> საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, ავტ. კოლექტ., 2017, გვ. 264.

<sup>25</sup> ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2012. გვ. 48

„ბრალდებულის მიერ გამოძიების დაწყების შემდეგ სახელმწიფო საზღვრის არაერთხელ გადაკვეთა არ წარმოადგენს მისი მიმალვის დამადასტურებელ გარემოებას თუ არ დასტურდება აღნიშნულის განხორციელება მისი მიმალვის მიზნით. თუ საზღვრის გადაკვეთის ფაქტი ფიქსირდება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ, აღნიშნული ფაქტი მიმალვის საფრთხის არარსებობაზე უფრო მეტყველებს, თუ ბრალდებული საზღვრის გადაკვეთის შემდეგ ყოველთვის უკან ბრუნდებოდა საქართველოში. თუმცა თუ ბრალდებულს გააჩნია საზღვარგარეთ თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა და კავშირები, შესაძლებლობა შეხვდეს საზღვარგარეთ მყოფ თანამონაწილეებს და მათთან ერთად შეიმუშაოს საერთო სტრატეგია მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის ასარიდებლად, გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური შესაძლებლობა, რომ ქვეყნის დატოვების შემთხვევაში შეიქმნას საარსებო პირობები, მაშინ ბრალდებულის მიმალვის საფრთხის გამორიცხვა მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ბრალდებული აქამდე ცხადდებოდა გამოძიებაში, გამოცხადდა სასამართლოში და ამის გამო არც მომავალში აარიდებს თავს გამოცხადებას, არარელევანტურია.“<sup>26</sup>

„მიმალვის საფრთხის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა (რამდენად არის შესაძლებელი მისი ტრანსპორტირება, საზღვარგარეთ გადაყვანა ლეგალური/არალეგალური გზით) მოქმედი პასპორტის არსებობა, საზღვარგარეთ ნაცნობ-მეგობრების ან ქონების არსებობა.“<sup>27</sup>

„საფრთხეებზე აპელირება უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ ვარაუდის დონეზე, რომ გამორიცხული არ არის ბრალდებულის მიმალვა, არამედ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმავის საკითხის განხილვისას აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული მოზარდების ქმედებების ნაკლები კომპეტენცია, (სანაცნობო, სამეგობრო წრე, რომელიც მას მიმალვაში დაეხმარება) და ფინანსური მდგომარეობა, რომელიც აუცილებელია მიმალვისათვის. გარდა ამისა, მოზარდს გარკვეული ქმედებები უნდა ჰქონდეს განხორციელებული მიმალვისათვის (ფულის ისესხა, პასპორტი აიღო, თვითმფრინავის ბილეთი იყიდა და სხვ) რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით.“<sup>28</sup>

<sup>26</sup> საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, ავტ. კოლექტი., 2017, გვ. 266.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 267.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 268.

## 2.2.2. ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა;

სსსკ-ი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებას შესაძლებლად მიიჩნევს, რათა მან ხელი არ შეუშალოს მტკიცებულებათა მოპოვებას. აქ იგულისხმება ის მტკიცებულებები, რომლებიც უნდა მოიპოვოს ბრალდების მხარემ.

ბრალდებულის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის შემდგომ, წინასამართლო სხდომამდე, კვლავ გრძელდება გამოძიება, რა დროსაც უნდა იქნეს მოპოვებული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის მამხილებელი მტკიცებულებები. ბრალდებულის მიერ, მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა შესაძლებელია გამოიხატოს იმ დოკუმენტის თუ ნივთიერ მტკიცებულებათა გადამალვით ან განადგურებით, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის მოპოვებული გამოძიების მიერ. ასევე, ბრალდებულმა შესაძლებელია ზემოქმედება მოახდინოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირებზე, რათა მათ არ ითანამშრომლონ გამოძიებასთან და არ მიიღონ გამოკითხვაში მონაწილეობა და სხვა.

ბრალდებულის მხრიდან მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლის საფრთხე შეიძლება გამოიხატოს სისხლის სამართალწარმოების მონაწილეებზე ზემოქმედების სხვადასხვა ფორმით - მაგალითად მოსყიდვა, სხვაგვარად დაინტერესება, შეგულიანება სამომავლო პერსპექტივით, მუქარა, შანტაჟი და სხვ.<sup>29</sup>

დაუშვებელია ამ საფრთხის აბსტრაქტულად შეფასება. მტკიცებულებების განადგურების საფრთხე შეიძლება დასტურდებოდეს ბრალდებულის წინარე ქმედებებით. მაგალითად ბრალდებული შეეცადა ქიმიური საშუალებებით მოეწმინდა მკვლელობის ადგილი სისხლის კვალის წასაშლელად, დაენვა ის ტანსაცმელი, რომელზეც იყო დაზარალებული კვალი, დაემალა იარაღი, ჩხრეკისას გადაემალა ან მოეშორებინა ნარკოტიკული საშუალება, დაკავებისას ცდილობდა გაენადგურებინა დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი მტკიცებულება.<sup>30</sup>

სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, სასჯელის მოხდა მოუწევს ბრალდებულს. ამის გამო, ბრალდებული არის ყველაზე მეტად დაინტერესებული საქმის შედეგებით. იმ პირებს შორის, რომლებიც იცავენ ბრალდებულის ინტერესებს, სწორედ ბრალდებულს აქვს ყველაზე დიდი მოტივაცია იმისათვის, რომ გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია, თუნდაც ის ამით ჩადიოდეს ახალ დანაშაულს და ახალ რისკს უქმნიდეს თავის თავისუფლებას. ამასთანავე, თუ ბრალდებულს აქვს კავშირი საქმისათვის

<sup>29</sup> საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, ავტ. კოლექტი., 2017, გვ. 271.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 269.

მნიშვნელობის მქონე რომელიმე მტკიცებულებასთან, არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ ის გაანადგურებს ამ მტკიცებულებას. ზემოთ აღნიშნულის გამო, ვერ დავეთანხმები ვ.ბენიძის მოსაზრებას, რომ „ბრალდებულის დაპატიმრებით ვერ იქნება უზრუნველყოფილი მტკიცებულებათა მოპოვება, რის გამოც მტკიცებულებათა მოპოვება არ უნდა დაედოს საფუძვლად პირის დაპატიმრებას.“<sup>31</sup>

„ცალსახაა, რომ მტკიცებულებების განადგურების საფრთხე არ შეიძლება რელევანტური იყოს პროცესის წარმოების ყველა ეტაპზე. ასევე, მხედველობაშია მისაღები კონკრეტული საქმის მახასიათებლები და ფაქტობრივი გარემოებები. მაგალითად, თუ მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენის მიზნით, ამ შემთხვევაში, შესაძლოა მომეტებული იყოს მართლმსაჯულების განხორციელებაზე ზემოქმედების საფრთხე. თუმცა, სხვა შემთხვევებში, როდესაც აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საქმის განხილვისას საგამოძიებო მოქმედებების უმეტესობა ჩატარებულია, ასეთი საფრთხე აღარ არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ ბრალდების მხარემ კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით დაასაბუთოს ბრალდებულის შესაძლებლობა (და არა მხოლოდ კონკრეტული განზრახვა ან სურვილი) გავლენა მოახდინოს მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხზე. ასევე, აღნიშნული საფუძვლით აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნისას, მითითება უნდა გაკეთდეს იმ საპროცესო ღონისძიებებზე, რომელთა ჩატარებასაც შესაძლოა საფრთხე შეექმნას.“<sup>32</sup>

მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის არარსებობაზე მიუთითებს, როდესაც საქმის მასალებიდან გამომდინარე ბრალდებულისათვის ცნობილი იყო მის მიმართ გამოძიების ორგანოს მიერ წარმოებული გამოძიების შესახებ, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად მას ხელი არ შეუშლია გამოძიებისათვის და თანამშრომლობდა მასთან. (მიუთითა იარაღის, დანაშაულის საგნის ადგილმდებარეობა, თანამონაწილეების ვინაობა და ა.შ.)<sup>33</sup>

მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე მატულობს, როდესაც თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულის საქმეებზე ბრალი წაყენებული აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს, ხოლო დანარჩენები თავისუფლებაში არიან, ვინაიდან გამოძიებისათვის უცნობია დანაშაულის ჩადენაში მათი მონაწილეობის შესახებ ან ბრალდებას არ გააჩნია საკმარისი მტკიცებულება მათი ბრალდებისათვის. ასეთ დროს, ბრალდებული შესაძლოა შეეცადოს თავისუფლებაში მყოფი

<sup>31</sup> იხ. ვ. ბენიძე, დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, 2003, გვ. 32

<sup>32</sup> ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2012 .გვ. 48.

<sup>33</sup> საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, ავტ. კოლექტ., 2017, გვ. 269.

თანამონაწილეების მეშვეობით დანაშაულის კვალის წაშლას, მტკიცებულებების განადგურებას, მონმეებზე ზემოქმედებას და სხვ.<sup>34</sup>

### 2.2.3. ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა;

„ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე შესაძლებელია გამომდინარეობდეს ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლებიდან, მისი წარსულიდან და მისთვის შერაცხული დანაშაულის ხასიათიდან, მისი დანაშაულებრივი საქმიანობიდან, მიდრეკილებიდან კონკრეტული დანაშაულის ჩადენისადმი. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე აპელირებისას, მომავალი დანაშაულის ხასიათი უნდა იყოს დაკონკრეტებული (მაგ. დანაშაულის კატეგორიებზე მითითებით - ეხება ძალადობრივ თუ ქონებრივ დანაშაულს და ლოგიკურად გამომდინარეობდეს პირისთვის წაყენებული ბრალიდან ანდა ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლებიდან. მაგალითად, თუ პირი არაერთხელ იქნა პასუხისგებაში მიცემული სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის, ეს ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ბრალდებული კვლავ მოიხმარს ნარკოტიკულ ნივთიერებას.<sup>35</sup>

„ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებაში იგულისხმება როგორც უკვე ჩადენილი დანაშაულის განმეორებით ჩადენა, ისე სხვა ტიპის დანაშაულის ჩადენაც. ამ შემთხვევაშიც, აღნიშნული საფრთხე უნდა შეფასდეს საქმის გარემოებათა ერთობლივი ტესტით. მათ შორის, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული: პირის ნასამართლობა, მისი მიდრეკილება დანაშაულის ჩადენისაკენ და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გარემოებები მნიშვნელოვანია, ცალკე აღებული თითოეული მათგანი მაინც არასაკმარისი საფუძველია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ პირმა შესაძლოა კვლავ ჩაიდინოს ახალი დანაშაული.“<sup>36</sup>

არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეუწონლობა დასტურდება, როდესაც საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ ბრალდებული მომეტებულად არის მიდრეკილი მიმალვისაკენ, ახალი დანაშაულის ჩადენისაკენ ან მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლისაკენ. მომეტებული მიდრეკილების ფაქტი უთითებს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობაზე. მაგალითად ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით<sup>37</sup> ბრალდებულ ი.ა.-ს შეეფარდა პატიმრობა იმ

<sup>34</sup> იქვე, გვ. 270.

<sup>35</sup> საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, ავტ. კოლექტი., 2017, გვ. 273

<sup>36</sup> ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. თბილისი. 2012. გვ. 48.

<sup>37</sup> იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 ოქტომბრის N 10/ა-351/18 განჩინება.

გარემოებაზე დაყრდნობით, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ბრალდებული იყო ნასამართლვეი სასამართლოს 3 განაჩენით, რომლითაც მას დაუმტკიცდა ბინაში უკანონოდ შეღწევით ჩადენილი ქურდობის 8 ეპიზოდი. 2006 წლიდან 2016 წლამდე, იგი სასჯელს იხდიდა პენიტენციურ დაწესებულებაში. მიუხედავად მკაცრი სასჯელის მოხდისა, სასჯელის მოხდიდან მალევე მან, დასაბუთებული ვარაუდით, კვლავ ჩაიდინა ქურდობა, ბინაში უკანონოდ შეღწევით. მოცემულ შემთხვევაში, ახალი დანაშაულის ჩადენისაკენ ბრალდებულის მიდრეკილება იმდენად მომეტებულია, რომ შეუძლებელია დავასკვნათ, რომ თავისუფლებაში ყოფნის პირობებში, იგი რაიმე თანხის დაკარგვის შიშით უარს იტყვის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაზე. ამის გათვალისწინებით, ბრალდებულისათვის პატიმრობის შეფარდებისათვის, ასევე ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუზომლობის დასაბუთებისათვის, არ არის აუცილებელი დამატებითი სხვა არგუმენტების მოყვანა.

„გემოთ ხსენებულ შემთხვევაში, ბრალდებულის ქმედებებით გამოიკვეთა გარკვეული ტენდენციურობა, ძველ და ახალ დანაშაულებს შორის ლოგიკური კავშირის არსებობა, რაც მეტყველებდა ბრალდებულის დანაშაულისადმი მომეტებულ მიდრეკილებებზე.“<sup>38</sup> ძველ და ახალ დანაშაულს შორის ლოგიკური კავშირის არსებობა წარმოშვა იმ ფაქტმა, რომ ბრალდებული წარსულში ნასამართლვეი იყო ბინაში უკანონოდ შეღწევით ჩადენილი ქურდობის არაერთ ეპიზოდზე, იგი კვლავ იყო პასუხისგებაში იქნა მიცემული ანალოგიური დანაშაულის რამდენიმე ეპიზოდზე. ეს ფაქტები დასტურდებოდა შესაბამისი მტკიცებულებებით და ამის გამო ბრალდებულისათვის პატიმრობის შეფარდება სასამართლომ ჩათვალა დასაბუთებულად.

„ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის მოტივით აღკვეთის ღონისძიების გამოყენება შეიძლება განზრახი დანაშაულის ჩადენის პრევენციისათვის. გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენის წინასწარი პროგნოზირება, როგორც წესი, ბრალის თავისებურებიდან გამომდინარე შეუძლებელია (გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც ბრალდებულის ქცევის ისტორია აშკარად მიუთითებს განსაზღვრული პირობების/გარემოს შექმნის შემთხვევაში კონკრეტული სახის დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობაზე.“<sup>39</sup> მაგალითისათვის, გორის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით, სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი და მე-5 ნაწილებით ბრალდებულ შ.ბ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით განესაზღვრა პატიმრობა იმ დასაბუთებით, რომ იგი წარსულში არაერთხელ იყო დაჯარიმებული მანქანის მართვის დროს ჩადენილ ისეთ დარღვევებზე როგორცაა სიჩქარის გადაჭარბება, შუქნიშანზე

<sup>38</sup> იხ. სისხლის საპროცესო სამართლის კომენტარი, ავტ. კოლექტ., თბ. 2017. გვ. 275

<sup>39</sup> იხ. იქვე, გვ. 274

გავლის წესის დარღვევა და სხვ. ასევე იგი მართვის მოწმობის გარეშე ატარებდა ავტომობილს.<sup>40</sup>

### თავი 3. გარემოებები, რომლებიც ასაბუთებს ბრალდებულის მიმალვის საფრთხეს

„ბრალდებულის მიმალვის საფრთხე ერთ-ერთია იმ საფრთხეთაგან, რომელთა არსებობაც შესაძლებელია საფუძვლად დაედოს მის დაპატიმრებას. ბრალდებულის მიმალვის მიმართ დასაბუთებულ ვარაუდს შესაძლებელია ქმნიდეს მისი კავშირები საზღვარგარეთ, მიმალვის მცდელობა ქმედების ჩადენის შემდგომ ან დაკავებისას, დანაშაულის ხასიათი და სხვ. ეს გარემოებები არ არის ამომწურავი და ბრალდებულის მიმალვის საფრთხე არსებობს თუ არა, ეს სასამართლომ უნდა დაადგინოს თითოეული საქმის ინდივიდუალურად შესწავლისა და მასში არსებული გარემოებების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე. ბრალდებულის მიმალვის მიმართ დასაბუთებულ ვარაუდს შეიძლება ქმნიდეს მისი კავშირები საზღვარგარეთ, ადრე შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი და სხვა. „მიმალვის საფრთხე შეიძლება ჩაითვალოს არარელევანტურად, როდესაც ბრალდებული თავს არ არიდებს გამოძიებას, გამოძახებისას ცხადდება, არ ჩაუდენია ახალი დანაშაული.“<sup>41</sup>

„მიმალვის საფრთხე მთლიანობაში უნდა შეფასდეს და განიხილებოდეს მიმალვასთან დაკავშირებული ყველა ფაქტორი. განჩინება/შუამდგომლობა, რომელშიც მიმალვის საფრთხე დასაბუთებულია შაბლონურად ისე, რომ არ ხდება ფაქტობრივ გარემოებებზე აპელირებით იმის განსაზღვრა, თუ რატომ არსობს მიმალვის საფრთხე, არ აკმაყოფილებს სსსკ-ით და ევროპული კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს. ზემოთ აღნიშნულ რომელიმე ფაქტორზე მითითება თავისთავად მისი დასაბუთების, ახსნა განმარტების გარეშე, არ აკმაყოფილებს დასაბუთებულობის მოთხოვნას. შესაბამისა, უნდა დამტკიცდეს კონკრეტულ გარემოებაში დასახელებული ფაქტორის მნიშვნელობადა განისაზღვროს აღნიშნული გარემოება რამდენად ადასტურებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიმალვის საფრთხის არსებობას.“<sup>42</sup>

ამ თავში მოყვანილია გარემოებები, რომელთა საფუძველზეც, საქართველოს სასამართლოების მიერ, ხდება პატიმრობის გამოყენების დასაბუთება. ეს გარემოებები

<sup>40</sup> გორის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 23 იანვრის N 10/ა-22-19 განჩინება.

<sup>41</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექ. თბ., 2015, გვ. 563

<sup>42</sup> იქვე, გვ. 564.

დახასიათებულია ცალ-ცალკე ქვეთავებად. ზემოთ აღნიშნული საკითხის ფარგლებში განხილული იქნება საქართველოს სასამართლოების გადანაცვეტილებებიც.

### 3.1. ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმე.

აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობაა ბრალდებულის მიმალვის და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა. ბრალდებულის მიმალვის მიზანია ის, რომ მან თავი აარიდოს ჩადენილი დანაშაულისათვის დასაკისრებელი სასჯელის მოხდას. შესაბამისად, რაც უფრო მკაცრს სასჯელს ითვალისწინებს ბრალდებულის მიერ, დასაბუთებული ვარაუდით ჩადენილი დანაშაული, მით უფრო დიდია ალბოთობა იმისა, რომ ბრალდებული მიიმალება. ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმე ბრალდებულის მიმალვის საფრთხესთან დაკავშირებული მსჯელობისას, ერთ-ერთი რელევანტური და ანგარიშგასანევი არგუმენტია. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, 1989 წლიდან, აქვს პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, მხოლოდ ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმე არ შეიძლება გახდეს ბრალდებულისათვის ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გამოყენების საფუძველი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე, *Patsuria v. Georgia* განმარტა, რომ მიმალვის საფრთხე შეიძლება იყოს დაპატიმრების კანონიერი საფუძველი. მიუხედავად ამისა, იგი არ შეიძლება დაეფუძნოს საბოლოო განაჩენის სიმძიმეს და უნდა უკავშირდებოდეს რამდენიმე სხვა სათანადო გარემოებას. ამ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ სავარაუდო სასჯელის სიმკაცრე არ იქნა გადამონშეული საქმის სხვა გარემოებებთან, რომელიც ან დაადასტურებდა მიმალვის საფრთხეს ან იმდენად უმნიშვნელოდ წარმოაჩენდა მას, რომ პატიმრობის გამოყენება ვერ იქნებოდა მიზანშეწონილი. ამის გამო სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა.<sup>43</sup>

ასეთი განმარტების შემცველი საქმეები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში მრავლადაა. ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმე მნიშვნელოვანია რგუმენტია ბრალდებულის მიმალვასთან დაკავშირებული მსჯელობისას, მაგრამ „აღკვეთის ღონისძიება სამაგიეროს მიზღვის, დასჯის რაიმე ღონისძიება არ არის. იგი მიზნად ისახავს ბრალდებულის შესაძლო დამაბრკოლებელი ხელისშემშლელი მოქმედებისა და უმოქმედობის აღკვეთას.“<sup>44</sup> ამის

<sup>43</sup> *Patsuria v. Georgia*. 30779/04. 06.11.2007 <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/facuria.pdf>

<sup>44</sup> იხ. ი. გაბისონია, აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, 2003, გვ. 7.

გამო, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირს ბრალად აქვს წარდგენილი თუნდაც სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, მხოლოდ ეს ფაქტი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მის მიმართ პატიმრობის შეფარდებას. აღკვეთის ღონისძიებაზე მსჯელობის დროს ნაადრევია საუბარი სასჯელის ისეთ მიზანზე როგორცაა სამართლიანობის აღდგენა ან დამნაშავის რესოციალიზაცია.

„მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის შიშით მიმალვის საფრთხე არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიმალვის სურვილი დასტურდება სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში. მიმალვის საფრთხე შეიძლება დასტურდებოდეს კუმულაციურად ისეთი გარემოებებით, როგორცაა, მაგალითად ბრალდებულის/მისი ოჯახის წევრების მიერ მათი კუთვნილი ანგარიშებიდან თანხების გატანა, მოძრავ-უძრავი ქონების გაყიდვა, საკუთარი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლება და სხვ.“<sup>45</sup>

განზრახი მძიმე კატეგორიის დანაშაულში ბრალდებულ პირთა მიმართ სასამართლო მხოლოდ ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმეზე დაყრდნობით არ იღებს გადაწყვეტილებას ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების თაობაზე. ეს იქიდანაც ჩანს, რომ განზრახი მძიმე კატეგორიის დანაშაულში ბრალდებულ სხვა პირის მიმართ, რომელთა მიმალვის საფრთხესაც ბრალდების მხარე ასაბუთებდა მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრეზე მითითებით, სასამართლომ გამოიყენა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება.<sup>46</sup> ამის მიუხედავად სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ცალკეულ მუხლებზე, ბრალდებულის მიმართ მისი მიმალვის საფრთხის გამო პატიმრობის შეფარდება ხდება მხოლოდ მოსალოდნელ მკაცრ სასჯელზე მითითებით. პირველი ინსტანციის სასამართლოები და თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიები, 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით ბრალდებულ პირებს, უფარდებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობას, რადგანაც მოსალოდნელ მკაცრ სასჯელზე დაყრდნობით ფიქრობს, რომ ბრალდებული მიიმალება და არ არსებობს სხვა რაიმე გარემოება, რომელიც მკაცრ სასჯელთან ერთად მიუთითებდა ბრალდებულის მიმალვის საფრთხეზე.<sup>47</sup> მიუხედავად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებისა, რომლითაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევაა დადგენილი ბრალად წარდგენილი ქმედების სიმკაცრის გამო პატიმრობის შეფარდებისთვის,

<sup>45</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბილისი, 2015. გვ. 563

<sup>46</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 23 აპრილის N 10/ა-1978-2019 განჩინება.

<sup>47</sup> იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 ოქტომბრის განჩინება, საქმე N 10/ა-353/18. იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 16 აგვისტოს განჩინება, საქმე N 10/ა-260/18.

სასამართლოები სწორედ მიმალვის საფრთხეს ადგენს მომეტებულად და უფარდებს ბრალდებულს პატიმრობას.

„სტრასბურგის სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებში (ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ) განმარტავს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ერთმნიშვნელოვნად მოითხოვს, რომ სასამართლოებმა ინდივიდუალურად განიხილონ თითოეული ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების აუცილებლობის საკითხი და შეაფასონ ინდივიდუალური გარემოებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ერთიანი და შესაბამისად, წინასწარ მოზადებული სტანდარტის გამოყენება ყველა ბრალდებულთან მიმართებაში“<sup>48</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე როგორცაა მკვლელობის მცდელობა ან ყაჩაღობა, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლო აღკვეთის ღონისძიებად მუდმივად იყენებს პატიმრობას. თითქმის არ არსებობს რაიმე შემთხვევა, რომ ზემოთ აღნიშნული მუხლებით ბრალდებულ პირებს, მათი სასამართლოში წარდგენის პირველ სხდომაზე, შეფარდებოდათ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება. მოცემულ შემთხვევაში, აშკარაა, რომ სასამართლოსთვის სწორედ ბრალად წარდგენილი ქმედების ხასიათი და მისი სიმძიმე არის პატიმრობის გამოყენების საფუძველი. სხვა შემთხვევაში შეუძლებელია ყაჩაღობის ან მკვლელობის სისხლის სამართლის ყველა საქმეზე პატიმრობის გამოყენებისათვის აუცილებელი ფორმალური საფუძვლები იმ ხარისხით იყოს დასაბუთებული, რომ დადასტურდეს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებლობის მიზანშეუწონლობა. ზოგიერთ შემთხვევაში, მკვლელობის მცდელობის ან ყაჩაღობის დანაშაულებზე, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისას, მის მიმართ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენება განპირობებული იქნა იმით, რომ სასამართლომ უკანონოდ ცნო ბრალდებულის მიმართ გამოყენებული დაკავება.

### 3.2. კავშირები საზღვარგარეთ

მიმალვის საფრთხეს ასაბუთებს ბრალდებულის კავშირები საზღვარგარეთ. შესაძლებელია ბრალდებულს საზღვარგარეთ ჰყავდეს ახლო ნათესავი, რომელიც მზად იყოს იმისათვის, რომ ბრალდებულის საზღვარგარეთ წასვლის შემთხვევაში, მას

<sup>48</sup> იხ. ნ. ხაინდრავა, ბ. ბოხაშვილი, თ. ხიდაშელი, წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, 2010, გვ. 67.

აღმოუჩინოს სხვადასხვა დახმარება, მაგალითად უზრუნველყოს საცხოვრებელი ბინით და აუნაზღაუროს სხვა აუცილებელი ხარჯები. თუ სხვა გარემოებებიც უთითებენ ბრალდებულის მიმალვისადმი მიდრეკილებას, (წარსულში მიმალვის მცდელობა, ქონების გასხვისება და სხვ.) ასეთი კავშირები ქმნის ბრალდებულის მიმალვის მომეტებულ საფრთხეს და შესაძლებელია სოლიდური თანხის ოდენობის გირაოს გადახდის შემთხვევაშიც, არ გამოირიცხოს ბრალდებულის მხრიდან მიმალვა. ასეთ დროს, სასამართლომ ბრალდებულს არასაპატიმრო აღკვეთ ღონისძიებასთან ერთად, სსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, შესაძლებელია განუსაზღვროს ვალდებულება, რომ თავისი პასპორტი და პირადობის მოწმობა ჩააბაროს საგამოძიებო ორგანოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „შუამდგომლობაში საფრთხეებზე აპელირება უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ ვარაუდის დონეზე, რომ გამორიცხული არ არის ბრალდებულის მიმალვა, არამედ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე. ის, რომ ბრალდებულს საზღვარგარეთ ჰყავს მეგობრები/ოჯახის წევრი, უპირობოდ და ცალსახად არ მიუთითებს, რომ ადგილი ექნება მისი მხრიდან მიმალვას. როდესაც პირი ერთხელ უკვე გაიქცა ან შეეცადა სისხლისსამართლებრივი დევნისგან თავის დაღწევას ქვეყნიდან გაქცევით, ხელისუფლების ორგანოებს შეიძლება ჰქონდეთ საფუძვლიანი ეჭვი, რომ პირი შეიძლება კვლავაც მიიმალოს.“<sup>49</sup>

მიმალვის საფრთხესთან დაკავშირებული მსჯელობისას უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გარემოებები, რომლებიც მიუხედავად ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმისა, ამცირებს ბრალდებულის მიმალვის საფრთხეს. ეს გარემოებები შეიძლება იყოს ბრალდებულის ოჯახური მდგომარეობა, საქართველოსთან მისი მჭიდრო კავშირი და სხვა. მაგალითად ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით,<sup>50</sup> უარი ითქვა ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებაზე. გ.გ-ს ბრალი ედებოდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით. სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმისა, ბრალდებულს ჰყავდა 2 მცირეწლოვანი შვილი, მეუღლე, მშობლები, ბრალდებული ხასიათდებოდა დადებითად, თავისი წარსულით არ იყო დაკავშირებული დანაშაულთან, პირველად იყო მიცემული სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში, საქართველოში მას ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და ამის გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების საფუძველი. ზემოთ აღნიშნული გარემოებები იყო ბრალდებულის მიმალვისათვის შემაფერხებელი.

<sup>49</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. ავტ. კოლ., თბ., 2015 გვ. 565.

<sup>50</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 23 აპრილის N 10/ა-1978-2019.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებით,<sup>51</sup> ბრალდებულ ს.ჩ-ს შეეფარდა პატიმრობა, რადგანაც სასამართლომ ჩათვალა, რომ მომეტებული იყო მისი მიმალვის საფრთხე. სასამართლომ თავისი მსჯელობა დააფუძნა იმ გარემოებებს, რომ ბრალდებული ს.ჩ, რომელსაც ბრალად ედებოდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, იყო უცხო ქვეყნის - უკრაინის მოქალაქე, საქართველოში არ ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი, მას ოჯახის წევრები ჰყავდა თავის სამშობლოში, გამოძიების მიმდინარეობისას არ ცხადდებოდა სამართალდამცავ ორგანოებში.

ამ გარემოებების ერთობლივად მხედველობაში მიღებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, თუნდაც იმ ვალდებულებასთან ერთად, რომელიც ითვალისწინებს ბრალდებულის მიერ პასპორტის ან პირადობის მოწმობის საგამოძიებო ორგანოში ჩაბარების ვალდებულებას, არ იქნებოდა ბრალდებულის მიმალვის შემაკავებელი. არ არსებობდა რაიმე გარემოება, რაც ხელს შეუშლიდა ბრალდებულს საქართველოს დატოვებაში. საქართველოში მას არ ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილები, აქ არ ჰყავდა ნათესავები და ახლობლები. ამის გამო, მას შესაძლოა ეყადა საქართველოს დატოვება სასაზღვრო გამშვები პუნქტების გვერდის ავლით. ის იყო უცხოელი - უცხო ქვეყნის მოქალაქე. ბრალდებული საქართველოში შემოსული იყო ტურისტული მიზნით. ოჯახისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილების არქონის გამო მას ასევე შეეძლო მიმალულიყო საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ გამოძიების ადგილიდან მოშორებით არსებულ სხვა რომელიმე ქალაქში, სადაც მისი მოძებნა და სასამართლოში წარდგენა იქნებოდა დიდ ძალისხმევასთან დაკავშირებული. იგი ასევე თავს არიდებდა საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, კერძოდ ბრალდებულად ცნობამდე, მიუხედავად გამოძიების მითითებებისა, მან უარი განაცხადა საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებაზე, შეიცვალა ტელეფონის ნომერი და საცხოვრებელი ადგილი, რის გამოც ვერხერხდებოდა მასთან დაკავშირება. აღნიშნული გარემოებები ერთობლიობაში გახდა ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების საფუძველი. პატიმრობის გამოყენების საფუძველად სასამართლომ მიუთითა არა მხოლოდ იმაზე, რომ ბრალდებული იყო უცხოელი, არამედ იმ ფაქტებზეც, რომ იგი ცდილობდა გამოძიებისგან მიმალვას.

„ბრალდებულის მოქალაქეობა (თუ ბრალდებული უცხოელია) თავისთავად არ არის საკმარისი მიმალვის საფრთხის დადასურებისათვის. ბრალდებულის სხვა ქვეყნის მოქალაქეობისადმი კუთვნილების ფაქტი არ გამოორიცხავს, მაგრამ არც ადასტურებს მიმალვის საფრთხეს. გასათვალისწინებელია ბრალდებულის საქართველოში ყოფნის მიზეზი და ისიც, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეა. მაგალითად, თუ ბრალდებულს თავისი მოქალაქეობის სახელმწიფოში სიკვდილით

<sup>51</sup> იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 მარტის განჩინება, საქმე N 10/ა-142/18.

დასჯის შიშით არ შეუძლია მას არ გააჩნია .ე.წ შენგენის ქვეყნებში თავისუფალიმიმოსვლის უფლება, მაშინ მისი მიმალვის საფრთხე მოქალაქეობაზე მითითებით მინიმალურია. მიმალვის ამ გარემოებაზე მსჯელობისას აუცილებელია ობიექტურ შესაძლებლობებთან ერთად, სუბიექტურ კრიტერიუმზე აპელირებაც.<sup>52</sup>

„აღკვეთის ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს გააჩნია საზღვარგარეთ თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა და კავშირები, შესაძლებლობა შეხვდეს საზღვარგარეთ მყოფ თანამონაწილეებს და მათთან ერთად შეიმუშაოს საერთო სტრატეგია მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური შესაძლებლობა, რომ ქვეყნის დატოვების შემთხვევაში შეიქმნას სათანადო საარსებო პირობები, მიყენებული ზიანის ოდენობა და მასშტაბები, რელევანტურია მიმალვის შესატყვისებად. აღნიშნულის ფონზე, ბრალდებულის მიმალვის საფრთხის გამორიცხვა მხოლოდ იმ გარემოებებზე მითითებით, რომ ბრალდებული აქამდე ცხადდებოდა გამოძიებაში, გამოცხადდა სასამართლოშიც და არც მომავალში აარიდებს თავს გამოცხადებას, არ შეიძლება მოხდეს.“<sup>53</sup>

### 3.3 მიმალვის მცდელობა ქმედების ჩადენის შემდგომ ან დაკავებისას.

სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმესთან ერთად, სასამართლომ პატიმრობის გამოყენება დაასაბუთა იმ გარემოებაზე დაყრდნობითაც, რომ ბრალდებულმა სცადა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის პირველი ნოემბრის<sup>54</sup> გადაწყვეტილებით, ბრალდებულ კ.რ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით განესაზღვრა პატიმრობა. სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობდა ბრალდებულის მიმალვის საფრთხე, რომელიც ვერ იქნებოდა განეიტრალებული კ.რ.-ს მიმართ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით. სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან დგინდებოდა, რომ კ.რ.-ს ცდილობდა სხვისი სატრანსპორტო საშუალების ნაწილების ქურდობას, რა დროსაც პოლიციის თანამშრომლებმა წაასწრეს ქმედების ჩადენისას. პოლიციის თანამშრომლების დანახვისთანავე, კ.რ. მიმალვის მიზნით გაიქცა. როდესაც იგი შეაჩერეს, კ.რ.-მ პოლიციის თანამშრომლებს გაუწია წინააღმდეგობა,

<sup>52</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექტ. თბილისი, 2015.

გვ.564

<sup>53</sup> იქვე. გვ. 594

<sup>54</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის პირველი ნოემბრის N 10/ა-426/16 განჩინება.

რათა თავი დაეღწია დაკავებისათვის. სასამართლომ განჩინებაში განმარტა, რომ შემთხვევის ადგილიდან ბრალდებულის მიმალვის მცდელობა და მის მიერ პოლიციის თანამშრომლების მიმართ განხორციელებული წინააღმდეგობა, დასაბუთებული ვარაუდით ადასტურებდა იმას, რომ ბრალდებულის მიმართ არასაპატიმრო ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში იგი თავისი ნებით არ გამოცხადდებოდა სამართალდამცავ ორგანოებსა და სასამართლოში, მით უმეტეს, რომ მის მიმართ ბრალად წარდგენილი ქმედება სასჯელის სახით ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ვადით 4-დან 7 წლამდე.

### 3.4. სხვა გარემოებები, რომლებიც ასაბუთებს ბრალდებულის მიმალვის საფრთხეს

სხვა გარემოებები, რომლებიც ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმესთან ერთად შესაძლოა საფუძვლად დაედოს ბრალდებულისათვის ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, შესაძლოა უკავშირდებოდეს ბრალდებულის მიერ, ადრე შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს. მაგალითად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 ივლისის<sup>55</sup> გადაწყვეტილებით ბრალდებულ ვ.დ.-ს შეეფარდა პატიმრობა, რადგანაც არსებობდა მისი მიმალვის საფრთხე. მიმალვის მიმართ დასაბუთებულ ვარაუდს ადასტურებდა ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმე. მას ბრალად ედებოდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით, ისე, რომ არ იყო კანონით გათვალისწინებული სხვა რომელიმე არასაპატიმრო სასჯელი. ამასთან, საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ ბრალდებული იყო ნასამართლევი ანალოგიური დანაშაულისათვის და საქმის განხილვის მიმდინარეობისას თავს არიდებდა სასამართლოსა და საგამოძებო ორგანოებში გამოცხადებას, იყო ძებნილი, შეცვლილი ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი და მისი სასამართლოში წარდგენა მოხერხდა მხოლოდ პოლიციის თანამშრომლების მიერ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მისი ადგილსამყოფლის დადგენით და მისი დაკავებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ რადგანაც ბრალდებულის მხრიდან წარსულში ადგილი ჰქონდა მიმალვას, არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული კვლავ მიიმალებოდა იმის გათვალისწინებით, რომ მის მიმართ ბრალად წარდგენილი ქმედება სასჯელის სახით

<sup>55</sup> იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 ივლისის N 10/ა-232/18 განჩინება.

ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ვადით 4-დან 7 წლამდე. მოცემულ შემთხვევაში პატიმრობის გამოყენების დასაბუთება მოხდა ზემოთ ხსენებული ორივე არგუმენტის მოშველიებით და არა მხოლოდ ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმე მითითებით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე - BORDIKOV V. RUSSIA, მიმალვის საფრთხის გამო, სრულიად დასაბუთებულად მიიჩნია, ეროვნული სასამართლოების მიერ გამოყენებული პატიმრობა იმ დასაბუთებით, რომ ბრალდებულს ბრალი ედებოდა მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და აგრეთვე, ის 3 წლის მანძილზე თავს არიდებდა საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას.<sup>56</sup>

„ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პირის მიმალვის შეფასების დროს ხმედველობაში იღებს ისეთ მტკიცებულებებს, როგორცაა პირის მიმალვა, მისთვის ბრალის წარდგენის შემდგომ, (punzelt v. the crech republik), კონკრეტული პირის მცდელობა ან უკვე განხორციელებული ქმედება თავი აარიდოს სამართალდამცავ ორგანოებში გამოცხადებას MATZNETTER V. AUSTRIA; პირის კავშირები საზღვარგარეთ, რამაც შესაძლოა იოლი გახადოს მიმალვა ან კავშირების არქონა იმ ქვეყანასთან რომელშიც საქმე აღიძრა (მუდმივი საცხოვრებლის ან ოჯახის არქონა) W. V. SWITZERland.“<sup>57</sup>

ბრალდებულის მიმალვის საფრთხის გამო, მის მიმართ პატიმრობის გამოყენებას, დასაბუთებს დანაშაულის ჩადენის შემდგომ, ბრალდებულის ფაქტობრივი მიმალვა. სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა ბრალდებულ რ.ტ.-ს, რომელმაც მითვისა მასზედ მიბარებული ქონება და მიიმალა შემთხვევის ადგილიდან.<sup>58</sup> ქონების მესაკუთრის, ანუ დაზარალებულის მიერ, მითვისების ფაქტი ცნობილი გახდა მხოლოდ 3 დღის შემდგომ, რის შემდგომაც დაზარალებულმა დასახმარებლად მიმართა პოლიციის ორგანოებს. სასამართლო პროცესზე ადვოკატი მიუთითებდა, რომ ბრალდებულს შესაძლებელია ჰქონოდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც საფუძვლად დაედო მის მიერ საცხოვრებელი ადგილის დატოვებას. ასევე, ბრალდებულის ადგილსამყოფლის შესახებ ცნობები არ მოიპოვებოდა ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც არ იყო დაწყებული გამოძიება. ამის გათვალისწინებით, ადვოკატი მიუთითებდა, რომ ბრალდებულმა არ იცოდა, რომ დაწყებული იყო გამოძიება, რის საფუძველზეც ადვოკატი გამორიცხავდა ბრალდებულის მიმალვას და მისი გაუჩინარების მიზეზად ასახელებდა მის სავარაუდო ავადმყოფობას. მცხეთის რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ იმისათვის, რომ დადგინდეს

<sup>56</sup> იხ. ნ. ხაინდრავა, ბ. ბოხაშვილი, თ. ხიდაშელი, წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, 2010, გვ. 47.

<sup>57</sup> იქვე, გვ. 48.

<sup>58</sup> იხ. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N 10/ა-322/17 განჩინება.

ბრალდებულის მიმალვის ფაქტი, არ არის სავალდებულო ბრალდებულმა იცოდეს, რომ მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება არის დაწყებული და ჰქონდეს ამის შესახებ უტყარი ინფორმაცია. დასაბუთებული ვარაუდით დანაშაულის ჩადენის შემდგომ, ბრალდებულს აქვს მოლოდინი, რომ მის მიერ ჩადენილ ქმედებას მიეცემა რეაგირება სახელმწიფოსგან, რაც შესაძლებელია გახდეს მისი მიმალვის საფუძველი. ამის გამო, სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტები და ბრალდებულ რ.ტ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით განუსაზღვრა პატიმრობა.

შესაძლებელია ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდოს პატიმრობა, თუ უტყუარად არის დადასტურებული მისი მიმალვის ფაქტი. მაგალითად, ბრალდებულ მ.ტ.-ს ბრალად ედებოდა სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. იგი იყო თურქმენეთის მოქალაქე და საქართველოში იმყოფებოდა დროებით, ტურისტული მიზნით. სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით დგინდებოდა, რომ მას შემდგომ, რაც დაიწყო გამოძიება, პოლიციის თანამშრომლები ცდილობდნენ მოეძებნათ მ.ტ. იმისათვის, რომ მიეღო მონაწილეობა გამოკითხვაში, თუმცა უშედეგოდ. ბრალდებულის მეგობრის - მონმე გ.შ-ს გამოკითხვის ოქმიდან დგინდებოდა, რომ მ.ტ. მივიდა მასთან და უთხრა, რომ რადგანაც გამოძიება იყო დაწყებული მის ქმედებასთან დაკავშირებით, იგი აპირებდა საქართველოს დატოვებას. მ.ტ.-ამ, იმავე დღესვე, დატოვა ქვეყანა. მოცემულ შემთხვევაში, უტყუარად დასტურდებოდა ბრალდებულ მ.ტ.-ს მიმალვის ფაქტი, რის გამოც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 5 აგვისტოს განჩინებით, მას აღკვეთის ღონისძიებად განუსაზღვრა პატიმრობა.<sup>59</sup>

იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული ფაქტობრივად მიმალვაშია, სასამართლო არ თვლის, რომ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენება იქნება ეფექტური. ბრალდებულის ფაქტობრივად მიმალვაში ყოფნის შემთხვევაში, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სასარგებლოდ არსებობს არგუმენტები. როდესაც ბრალდებული არის საზღვარგარეთ და მიმალვაშია, მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება, შესაძლებელია იყოს მიზანშეწონილი იმიტომ, რომ თუ ბრალდებულს ეცნოდინება, რომ საქმის განხილვის დასრულებამდე არ იქნება მოთავსებული პენიტენციურ დაწესებულებაში, შესაძლებელია ის დაბრუნდეს საქართველოში, რის შემდეგაც სასამართლოს შეუძლია, დამატებითი ვალდებულების სახით, მას დააკისროს პასპორტის ან პირადობის მოწმობის საგამოძიებო ორგანოსთვის ან სასამართლოსთვის გადაცემა, რაც არსებითად გაართულებს ბრალდებულის კვლავ მიმალვას საზღვარგარეთ. მით უმეტეს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით

<sup>59</sup> იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 5 აგვისტოს N 10/ა-239/18 განჩინება.

არ არის გათვალისწინებული ის, რომ მასში მოცემული ვალდებულებები სასამართლომ ბრალდებულს უნდა დააკისროს, მაინც და მაინც, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შეამდგომლობის განხილვისას და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულებების ბრალდებულისათვის დაკისრება არ შეიძლება.

ამ შემთხვევაში სასამართლოს განაჩენის აღსრულება იქნება უფრო მეტად შესაძლებელი. როდესაც ბრალდებულს აქვს შეფარდებული პატიმრობა, ეს გამორიცხავს მის მიერ, საკუთარი ნებით საქართველოში დაბრუნებას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არის გათვალისწინებული ე.წ. „საიმედო დაცვის გარანტია,“ რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება მიეცეს სასამართლოში გამოუცხადებელ ბრალდებულს, ასევე ის შეიძლება იყოს დაკავშირებული გარკვეული პირობების შესრულებასთან. ასეთი დაცვა გარანტირებულს ხდის პატიმრობის შესახებ სასამართლო ბრძანების გამოყენებლობას და ემსახურება მხოლოდ პროცესუალურ მიზანს. მაგალითად პროკურორის ან გამოძიების მოსამართლის მიერ, ბრალდებულის დაკითხვის უზრუნველყოფას.<sup>60</sup> გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია, მიმალვაში მყოფი ბრალდებულის მიმართ, პატიმრობის გამოყენების შეზღუდვა, რაც მიზნად ისახავს ბრალდებულის გამოცხადებას, რათა მასთან ჩატარდეს საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედება. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არაერთი სისხლის სამართლის საქმე მოიძებნება, სადაც მიმალვაში მყოფ ბრალდებულს, სასამართლოს განჩინებით ან ბრძანებით, შეფარდებული აქვს პატიმრობა, საქმის განხილვა კი მიმდინარეობს. იმის გამო, რომ ბრალდებული არის საზღვარგარეთ, ვერ ხერხდება ხშირად იმის დადგენა, თუ რომელ ქვეყანაშია ის, შესაბამისად, ვერ ხერხდება მისი მოძებნა და საქართველოში ჩამოყვანა და პატიმრობის გამოყენების თაობაზე სასამართლოს განჩინება ან ბრძანება აღსრულებელია. მაღალი ალბათობით ასევე აღსრულებელი იქნება სასამართლოს განაჩენიც მათ მიმართ.

იმ ბრალდებულების მიმართ, რომლებიც არიან მიმალვაში, სასამართლო არ იყენებს გირაოს. ამის ერთ-ერთ მიზეზად სასამართლო ასახელებს იმას, რომ ვერ მოხერხდება ბრალდებულისთვის, სსკ-ის მე-200 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გირაოს პირობების განმარტება და შესაბამისი ოქმის შედგენა. პირადი თავდებობის გამოყენებაც არ არის მიზანშეწონილი, რადგანაც მაშინ, როდესაც ბრალდებული ფაქტობრივად მიმალვაშია, შეუძლებელია რომელიმე პირმა ამტკიცოს, რომ ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველყოფას შეძლებს. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 22 სექტემბრის განჩინებით, ბრალდებულს ლ.ბ-

<sup>60</sup> იხ. კ. გუცენკო, ლ. გოლოვკო, ბ. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007, გვ. 573.

ს, აღკვეთის ღონისძიების სახით განესაზღვრა პატიმრობა. სასამართლომ განმარტა, რომ ბრალდებულ ლ.ბ.-ს უნდა შეფარდებოდა პატიმრობა. საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ მას შემდგომ, რაც ბრალდებულის თანამშრომლების მიერ გაგებული იქნა ლ.ბ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, ბრალდებულმა დატოვა ქვეყანა მანამ, სანამ ბრალდებულის თანამშრომლები შეატყობინებდნენ პოლიციას დანაშაულის შესახებ. ადვოკატმა სასამართლო პროცესზე წარმოადგინდა ბრალდებულის ჯანმრთელობის ამსახველი დოკუმენტაცია, რომლითაც დგინდებოდა, რომ ბრალდებულს ჰქონდა უმძიმესი დაავადებები, რაც შეუთავსებელი იყო სიცოცხლესთან. სასამართლომ უტყუარად მიიჩნია ბრალდებულის მიმალვის ფაქტი და მას შეუფარდა პატიმრობა. გირაოს გამოყენება სასამართლომ ჩათვალა შეუძლებლად, რადგანაც ვერ მოხერხდებოდა ბრალდებულისათვის, სსკ-ის 200 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული, გირაოს პირობების განმარტება.<sup>61</sup>

მიმალვაში მყოფ ბრალდებულს ეფარდება პატიმრობა. თუ ბრალდებულს, პატიმრობის შეფარდების მომენტისათვის, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უკვე დატოვებული აქვს, პატიმრობის განჩინების აღსრულება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბრალდებული შემოვა საქართველოში. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პატიმრობაში მყოფი ბრალდებულისათვის, პატიმრობასთან ერთად, სხვა იძულებითი ღონისძიების გამოყენებას. „გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გამოუცხადებელი ბრალდებულის ქონებაზე ყადაღის დადებას. თუ ბრალდებული გამოცხადდება, ქონებას შეიძლება მოეხსნას ყადაღა.“<sup>62</sup>

ბრალდებულის მიმალვის მიმართ დასაბუთებულ ვარაუდს ადგენს დანაშაულის ხასიათი, რომელშიც პირს ბრალი ედება. მაგალითისათვის, ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, სსკ-ის 19-344-ე მუხლით ბრალდებულ პირს სასამართლომ განუსაზღვრა პატიმრობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ არასაპატიმრო ვერ უზრუნველყოფდა ბრალდებულის მიმალვის აღკვეთას. პირს ბრალი ედებოდა საზღვრის უკანონოდ კვეთის მცდელობისთვის. ბრალდებულს შეეძლო კვლავ გამოეყენებინა თავისი ცოდნა და შესაძლებლობები საზღვრის გადაკვეთისათვის, რასაც შემდგომ გამოიყენებდა მიმალვისათვის და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება ვერ იქნებოდა შემაკავებელი მის მიმართ.<sup>63</sup>

მოსალოდნელ მკაცრ სასჯელთან ერთად ბრალდებულის მიმალვის მიმართ დასაბუთებულ ვარაუდს ადგენს ის ფაქტიც, რომ ბრალდებულს აქვს შესაძლებლობა, მიმალვის მიზნით, დატოვოს ქვეყანა. ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე,

<sup>61</sup> იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 22 სექტემბრის N 10/ა-313/18 განჩინება.

<sup>62</sup> იხ. ვ. გუცენკო, ლ. გოლოვკო, ბ. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ. 134

<sup>63</sup> იხ. სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, ავტ. კოლექტ., 2017, გვ. 262

ბრალდებულის სახლის ჩრეკისას ნაპოვნი იქნა რამდენიმე ყალბი პასპორტი. ყველა მათგანში არის ბრალდებულის სურათი, მაგრამ მითითებულია სხვადასხვა სახელი და გვარი. პირს ბრალი ედებოდა განზრახი მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში, რომელიც სასჯელის სახედ ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით. თბილისის სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ზემოთ ხსენებული ორივე არგუმენტი კუმულაციურად, მათ საფუძელზე დადგინდა ბრალდებულის მიმალვის მიმართ დასაბუთებული ვარაუდის არსებობა და მას შეუფარდა პატიმრობა.<sup>64</sup>

„ბრალდებულის საპროცესო მდგომარეობის მოსალოდნელი დამძიმება (ახალი ბრალი წაყენება, კვალიფიკაციის შეცვლა დამძიმების კუთხით, ახალი ეპიზოდის ან სხვა სახის დანაშაულის ჩადენაში ბრალის წაყენება) რასაც ბრალდების მხარის განცხადებით შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემდეგ - არარელევანტური მიზეზია, ვინაიდან ასეთის არსებობის შემთხვევაში ბრალდების მხარეს შეუძლია მოითხოვოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლა, ახალი ბრალის დამატების ან დამძიმების შემდეგ.“<sup>65</sup>

„მიმალვის საფრთხის დასაბუთებისათვის შესაძლებელია მითითებულ იქნეს შემდეგ ფაქტზე, მაგალითად ბრალის წაყენების შემდეგ (გაფრთხილების მიუხედავად) პირი დაკავებულ იქნა საზღვრის გადაკვეთისას.“<sup>66</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით,<sup>67</sup> ბრალდებულ მ.ი-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული 5000 ლარის ოდენობის გირაო, შეეცვალა პატიმრობით, ხოლო გადახდილი გირაოს თანხა გადავიდა სახელმწიფო ბიუჯეტის საკუთრებაში იმ მიზეზით, რომ მას შემდეგ, რაც მ.ი.-ს შეეფარდა გირაო და დაეკისრა ვალდებულება, რომ მისი კუთვნილი ისრაელის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტი გადაეცა საგამოძიებო ორგანოსათვის. გირაოსთანხის გადახდის შემდგომ, ბრალდებულმა გამომძიებელს განუცხადა, რომ ზემოთ აღნიშნული პასპორტი მას დაკარგული ჰქონდა. რამდენიმე დღეში, ამავე პასპორტის გამოყენებით, ბრალდებული ცდილობდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას. ის ფაქტი, რომ ბრალდებულმა არ შეასრულა აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად მასზე დაკისრებული ვალდებულება - გადაეცა ისრაელის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტი საგამოძიებო ორგანოსათვის, ასევე ცდილობდა მიმალვის მიზნით ქვეყნის დატოვებას, სასამართლოს მიერ შეფასდა როგორც აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი და პროკურორის შუამდგომლობით ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიება - გირაო შეეცვალა პატიმრობით.

<sup>64</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 23 ივლისის N 1გ-714-14 განჩინება.

<sup>65</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექტ. თბილისი, 2015. გვ. 593

<sup>66</sup> იქვე. გვ. 593

<sup>67</sup> იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 10 ოქტომბრის N 10/ა-335/18 განჩინება.

ბრალდებულის კავშირი ოჯახთან, მისი დასაქმება, სწავლა, ჩართულობა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში, საეკლესიო და სასკოლო/საუნივერსიტეტო საქმიანობაში მონაწილეობა, ბრალდებულის მხრიდან ოჯახის რჩენის ვალდებულება და ა.შ. შეიძლება განხილულ იქნეს გარემოებად, რომელიც ამცირებს ბრალდებულის მხრიდან მიმალვის საფრთხეს.<sup>68</sup>

## თავი 4. გარემოებები, რომელიც ასაბუთებს ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს

ამ თავში მოცემულია ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის იმ ძირითად გარემოებებზე, რომელთა არსებობის დროსაც სასამართლო იყენებს პატიმრობას. ამ თავში განხილული იქნება ბრალდებულის ნასამართლობა, როგორც ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის დამადასტურებელი გარემოება, დანაშაულის ხასიათი, მოხსნილი და გაქარწყლებული ნასამართლობის მხედველობაში მიღება აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას. ასევე მოყვანილი იქნება შესაბამისი მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან.

### 4.1. ბრალდებულის ნასამართლობა

აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების ერთ-ერთი საფუძელია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ამის მიმართ დასაბუთებულ ვარაუდს ქმნის სხვადასხვა მტკიცებულებები. ყველაზე ხშირად ახალი დანაშაულის ჩადენის მიმართ დასაბუთებული ვარაუდის არსებობას ბრალდების მხარე ასაბუთებს იმ გარემოებებზე დაყრდნობით, რომ ბრალდებული ანალოგიური დანაშაულისათვის წარსულში არის რამდენჯერმე ნასამართლევ. ანალოგიური დანაშაულისათვის ბრალდებულის წარსულში რამდენჯერმე გასამართლების ფაქტი, მოსამართლეს ინფორმაციას აძლევს ბრალდებულის

<sup>68</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექტ. თბილისი, 2015. გვ. 277

პიროვნებაზე და მის მომეტებულ მიდრეკილებაზე ახალი დანაშაულის ჩადენის მიმართ. მაგალითად, „ბრალდებული, რომელიც დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შექმნისა და შენახვისათვის, ადრე არაერთგზისაა ნასამართლევი ანალოგიური დანაშაულისათვის, ამასთან, საქმეში არსებული ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, იგი ქრონიკული ნარკომანია და პერმანენტულად იძენს და ინახავს ნარკოტიკებს პირადი მოხმარებისათვის. ამ შემთხვევაში საკმაო საფუძველი არსებობს ვარაუდისათვის, რომ თავისუფლებაში ყოფნის პირობებში ბრალდებული კვლავ განაგრძობს ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ შექმნასა და შენახვას.“<sup>69</sup>

ადამიანის უფლებათა ვეროპულმა სასამართლომ საქმეზე *assenov v. bulgaria* განმარტა, რომ შემდგომი დანაშაულების თავიდან აცილებისათვის ზრუნვა სინამდვილეს შეესაბამება და პატიმრობის გამოყენება მართლზომიერია მაშინ, როდესაც პირი ადრეც იყო მსჯავრდებული იმავე ან მსგავსი დანაშაულისათვის. ასეთ შემთხვევაში პატიმრობის გამოყენება სასამართლომ მიზანშეწონილად ჩათვალა.<sup>70</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა არ შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც არგუმენტი ბრალდებულის სანააღმდეგო მსჯელობისათვის. სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად: „გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.“ აქედან გამომდინარე, მოხსნილი ან გაქარწყლებული სანამართლობა არ უნდა დაედოს საფუძველად იმ მსჯელობას, რომ ბრალდებული მიდრეკილია დანაშაულის ჩადენისაკენ. კანონი პირდაპირ ადგენს, რომ სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების განსაზღვრისას არ შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული გაქარწყლებული ნასამართლობა. სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად: „აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.“ სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილით არ არის ამოწურული ის გარემოებები, რომლებიც შეიძლება სასამართლომ გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიებაზე მსჯელობისას. ბრალდებულის პიროვნება და მისი წარსულიც მნიშვნელოვანია აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისათვის, მაგრამ მოხსნილი ან გაქარწყლებული სანამართლობა არც ბრალდებულის პიროვნების და მისი წარსულის შეფასებისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული. ამასთან

<sup>69</sup> იხ. ი. გაბისონია, აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, 2003, გვ.17.

<sup>70</sup> იხ. ნ. ხაინდრავა, ბ. ბოხაშვილი, თ. ხიდაშელი, წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, 2010, გვ. 61.

დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება არის გამოთქმული იურიდიულ ლიტერატურაში. მაგალითისათვის ბატონი ირაკლი დვალიძის სახელმძღვანელოში - გამოთქმულია მოსაზრება გაქარწყლებული ნასამართლობის ბრალდებულის საწინააღმდეგოდ გამოყენების სასარგებლოდ. სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, აღკვეთის ღონისძიების შეამდგომლობის განხილვისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ბრალდებულის წარსული. რადგანაც ბრალდებულის წარსულში გასამართლების ფაქტი ბრალდებულის წარსულის განუყოფელი ნაწილია, ამის გამო სასამართლომ, გადაწყვეტილების მიღებისას, შესაძლებელია მხედველობაში მიიღოს მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა.<sup>71</sup> თუმცა ამ მოსაზრებას არ იზიარებს სასამართლო. აღკვეთის ღონისძიების საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლო საერთოდ არ მსჯელობს მოხსნილ ან გაქარწყლებულ ნასამართლობაზე. მაგალითისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის პირველი ნოემბრის განჩინებით,<sup>72</sup> ბრალდებულ კ.რ.-ს მიმართ, რომელსაც ბრალად ედება სსკ-ის 19-177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, აღკვეთის ღონისძიების სახით არ განუსაზღვრა პატიმრობა ქურდობის მუხლებით არაერთი გაქარწყლებული ნასამართლობის გამო. მეტიც, სასამართლომ მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა საერთოდ არ მიიღო მხედველობაში აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას. ბრალდებულისათვის პატიმრობის შეფარდებას საფუძვლად დაედო მხოლოდ მისი მიმალვის საფრთხე, რაც დასტურდებოდა შემთხვევის ადგილიდან გაქცევით და დაკავებისას, მიმალვის მიზნით, პოლიციელებისათვის წინააღმდეგობის განვითარებით.

## 4.2. დანაშაულის ხასიათი

ბრალდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის მიმართ დასაბუთებულ ვარაუდს ქმნის დანაშაულის ხასიათი, რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედება. მაგალითად ბრალდებულ მ.რ.-ს ბრალად ედება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების შექმნა და შენახვა. ნარკოტიკული საშუალების ოდენობიდან გამომდინარე, არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ

<sup>71</sup> ი. დვალიძე. სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები. გვ.30

<sup>72</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის პირველი ნოემბრის N 10/ა-426/16 განჩინება.

ბრალდებული კვლავ ჩაიდენდა ახალ დანაშაულს. სასამართლომ დაადგინა ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, რის გამოც რ.ა-ს შეეთარდა პატიმრობა.<sup>73</sup>

ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან, ბრალდებულმა ლ.ბ.-მ სანადირო ცეცხლსასროლი იარაღიდან 2 ცალი საფანტის ტყვია ესროლა დაზარალებულ რ.ქ.-ს. ლ.ბ-ს ბრალი დაედო სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით. რადგანაც დასაბუთებული ვარაუდით დანაშაულის ჩადენა მოხდა ცეცხლსასროლი იარაღიდან, განხორციელდა 2 გასროლა, გასროლილი იყო საფანტის ტყვიები, რომლებიც გასროლის შემდგომ იშლება და შესაძლებელია დაზარალებულს დაუზიანოს არაერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანო, ბრალდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე რეალურად ჩაითვალა. ბრალდებულისათვის პატიმრობის შეფარდების განმაპირობებელი ფაქტორი იყო სწორედ დანაშაულის ხასიათი.<sup>74</sup>

როდესაც ბრალდების მხარე ახდენს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის დასაბუთებას, მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არ უნდა იყოს აბსტრაქტული და უნდა შეიცავდეს კონკრეტულ მტკიცებას იმის თაობაზე, თუ რა საშიშროება მომდინარეობს ბრალდებულისგან. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე polonskiy v. russia განმარტა, რომ ბრალდებულის უმუშევრობა არ მიუთითებდა მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის იმ საფრთხეზე, რომელზე დაყრდნობითაც გამართლებული იქნებოდა მისი პატიმრობა.<sup>75</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასეთივე არგუმენტად ჩათვალა ბრალდებულის ფინანსური პრობლემები, როდესაც საქმეზე stogmuler v. austria განმარტა, რომ ფინანსური პრობლემები არ წარმოადგენდა დამაჯერებელ არგუმენტს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხესთან მიმართებით.<sup>76</sup>

### 4.3. ახალი დანაშაულის ჩადენა პირობითი მსჯავრის პირობებში

ახალი დანაშაულის ჩადენის მიმართ დასაბუთებულ ვარაუდს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ბრალდებულს დანაშაული ჩადენილი აქვს სხვა დანაშაულისათვის დანიშნული პირობითი მსჯავრის პერიოდში.<sup>77</sup> ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულ ვ.დ.-ს აღკვეთის ღონისძიებად განესაზღვრა პატიმრობა, რადგანაც

<sup>73</sup> იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 16 აგვისტოს N 10/ა-260/18 განჩინება.

<sup>74</sup> იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 11 ივნისის N 10/ა-170/18 განჩინება.

<sup>75</sup> იხ. ნ. ხაინდრავა, ბ. ბოხაშვილი, თ. ხიდაშელი, წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, 2010, გვ.63.

<sup>76</sup> იხ. ნ. ხაინდრავა, ბ. ბოხაშვილი, თ. ხიდაშელი, წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, 2010, გვ. 63.

<sup>77</sup> იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 ივლისის N 10/ა-232/18 განჩინება.

დასაბუთებული ვარაუდით დადგენილად ჩაითვალა, მისი მხრიდან, მიმალვის და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეები. ახალი დანაშაულის ჩადენის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი დადასტურდა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ვ.დ.-ს ბრალად წარდგენილი ქმედება დასაბუთებული ვარაუდით ჩადენილი ჰქონდა პირობითი მსჯავრის ქვეშ ყოფნის პერიოდში.

მოცემულ შემთხვევაში დადგინდა, რომ არასაპატიმრო აღკვეთ ღონისძიებაზე უფრო მკაცრმა ღონისძიებამ - პირობითმა მსჯავრმა ვერ უზრუნველყო ბრალდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის აღკვეთა და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებაც ვერ უზრუნველყოფდა ბრალდებულის სათანადო ქცევას. პირობითი მსჯავრი, თავისი შინაარსით, უფრო მკაცრი ღონისძიებაა, ვიდრე რომელიმე არასაპატიმრო ღონისძიება. მაგალითად, როდესაც ბრალდებულს ეფარდება პირობითი მსჯავრი, მისთვის ცნობილია, რომ ახალ სასჯელთან ერთად შესაძლებელია მას დაენიშნოს ის სასჯელი, რომელიც პირობითად ჰქონდა ჩათვლილი. პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ბრალდებული განსაკუთრებული კონტროლის ქვეშაა. იგი ყოველკვირეულად ცხადდება პრობაციის ბიუროში. პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ბრალდებული არის თავისუფლების დაკარგვის რეალური საფრთხის ქვეშ, მაშინ როდესაც გირაოს ქვეშ მყოფი ბრალდებული არის ქონების დაკარგვის საფრთხის ქვეშ. გირაოს ქვეშ მყოფი ბრალდებული თუ ჩაიდენს ახალ დანაშაულს, მის მიმართ შესაძლებელია ასევე გამოყენებული იქნეს პატიმრობა, მაგრამ პატიმრობის ვადა მთლიანად ჩაითვლება სასჯელის ვადაში, მაშინ როდესაც პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენამ შესაძლებელია გამოიწვიოს ძველი და ახალი სასჯელების სრულად შეკრება. თუ, პირის მხრიდან, პირობითმა მსჯავრმა ვერ უზრუნველყო ახალი დანაშაულის ჩადენის აღკვეთა, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების ეფექტურობა იგივე მიზნის მისაღწევად იქნება ასევე არაეფექტური. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულისთვის გირაოს სახით შეტანილ უძრავ ქონებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, (მაგალითად უძრავ ქონებას, რომელსაც გირაოს თანხის ნაწილში ადევს ყადაღა, წარმოადგენს საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ცხოვრობენ ბრალდებულის ოჯახის წევრები და სხვ.) შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ქონების დაკარგვის შიში უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას. სასამართლომ თითოეული საქმე უნდა შეაფასოს ინდივიდუალურად და ბრალდებულის წარსულის, მისი პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით, უნდა შეურჩიოს მას იძლებითი ღონისძიება.

როდესაც ჩადენილია ძალადობრივი დანაშაული და ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კომფლიქტი არ არის ამოწურული, ბრალდებულის მხრიდან არსებობს ახალი ძალადობრივი დანაშაულის კვლავ ჩადენის საფრთხე. ზემოთ

აღნიშნულ საფუძვლებზე მითითებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის პირველი მარტის განჩინებით, ბრალდებულ ი.შ.-ს შეეფარდა გირაო.<sup>78</sup>

## თავი 5. გარემოებები, რომლებიც ასაბუთებს ბრალდებულის მიერ ინფორმაციის განადგურების საფრთხეს

„მტკიცებულებების განადგურების საფრთხეზე აპელირებისას ბრალდების მხარემ სასამართლოს აუცილებლად უნდა წარუდგინოს აღნიშნული საფრთხის რეალურად არსებობის დამადასტურებელი კონკრეტული, გადამოწმებადი ფაქტობრივი მტკიცებულებები და არა მხოლოდ ვარაუდი აღნიშნული საფრთხის თეორიულად და აბსტრაქტულად არსებობის შესახებ. დაუშვებელია საფრთხის აბსტრაქტულად შეფასება. ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე შესაძლებელია დასტურდებოდეს მისი წინარე ქმედებებით. მაგალითად ბრალდებული შეეცადა ქიმიური საშუალებებით მოერეცხა მკვლელობის ადგილი სისხლის კვალის წასაშლელად; დაენვა ის ტანსაცმელი, რომელზეც იყო დაზარალებულის კვალი, დაემალა იარაღი და ა.შ. მითვისების საქმეზე - გაენადგურებინა ან/და მოენესრიგებინა დოკუმენტაცია, მოტყუებით მოეპოვებინა ან/და დაეზიანებინა ვიდეოკამერების ჩანაწერები და სხვ.“<sup>79</sup>

ამ თავში მოცემულია ია გარემოებები, რომელთა საფუძველზეც იქმნებადასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული განადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას და ხელსშეუშლის გამოძიებას ამინფორმაციის მოპოვებაში.

### 5.1. ახლო ნათესაური ან მეგობრული კავშირი მონშმეებთან.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელის შეშლა შესაძლებელია გამოიხატოს იმ მონშმეებზე ზეგავლენის მოხდენაში, რომლებიც ჯერ არ

<sup>78</sup> იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის პირველი მარტის N 10/ა-56/18 განჩინება.

<sup>79</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. ავტ. კოლექტ., თბილისი, 2015, გვ. 566

არიან გამოკითხული. თუ ბრალდების მხარე დაადასტურებს, რომ ბრალდებული იცნობს მონშეებს, აქვს მასთან ახლო ნათესაური ან მეგობრული ურთიერთობა, ბრალდებულს შეიძლება შეეფარდოს პატიმრობა მათზე ზეგავლენის მოხდენის თავიდან ასაცილებლად. ამ შემთხვევაშიც ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მონშეები, რომელთა გამოკითხვაც საჭიროა, უნდა იყვნენ საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონენი. მაგალითად თუ გამოსაკითხია მონშე, რომელიც დადასტურებულია, რომ უშუალოდ შეესწრო დანაშაულებრივ ფაქტს და ამ მონშესთან ბრალდებულს აქვს კავშირები, კერძოდ არის მისი ახლო მეგობარი, ბრალდებულს შესაძლოა აღკვეთის ღონისძიების სახით განესაზღვროს პატიმრობა, რადგანაც მონშესთან მისი კავშირები არის სერიოზული არგუმენტი იმისა, რომ ბრალდებული ზემოქმედებას მოახდენს მასზე, რათა მონშემ არ ითანამშრომლოს გამოძიებასთან. თუ მონშე არ ადასტურებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტს, არ არის პირდაპირი მონშე და არის ირიბი მონშე, სასამართლომ არ უნდა შეეფარდოს ბრალდებულს პატიმრობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის განჩინებით, ბრალდებულ მ.ი.-ს აღკვეთის ღონისძიების სახედ განესაზღვრა პატიმრობა იმ დასაბუთებით, რომ მას ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა საქმეზე გამოსაკითხ პირებთან, რომლებიც უშუალოდ შეესწრნენ მის მიერ, დასაბუთებული ვარაუდით, დანაშაულის ჩადენის ფაქტს. მონშეებთან ახლო მეგობრული ურთიერთობა სასამართლომ ჩათვალა სერიოზულ არგუმენტად, რათა დაესკვნა, რომ დასაბუთებული ვარაუდით ბრალდებული ზემოქმედებას მოახდენდა მონშეებზე, რათა მათ არ მიეცათ ბრალდებულის მამახილებელი ჩვენებები.<sup>80</sup>

ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა განადგურების მიმართ დასაბუთებული ვარაუდი ასევე შეიძლება შექმნას იმ გარემოებათაგან, რომ ბრალდებულს ჰქონდეს ახლო ნათესაური კავშირი საქმეზე სასამართლოში დასაკითხ მონშესთან. ბრალდებულის მონშესთან ასეთი კავშირი სერიოზული არგუმენტია იმისათვის, რომ მას შეეფარდოს პატიმრობა მონშეზე უკანონო ზეგავლენის მოხდენის თავიდან ასცილებლის მიზნით. მართალია მონშეს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება თავისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ, მაგრამ მან ამ უფლების გამოყენების თუ არგამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს თავად ისე, რომ მონშეზე არ განხორციელდეს რაიმე იძულება იმ მიზნით, რომ მან სასამართლოში შეცვალოს ჩვენება. ასეთ შემთხვევებში, ბრალდებულისგან მომდინარე საშიშროება უფრო მაღალია, როდესაც დაზარალებული არის მასთან ერთად მცხოვრები პირი, მაგალითად მისი არასრულწლოვანი შვილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძებო კოლეგიამ 2017 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით განმარტა, რომ „ვ.გ.-ს ბრალად ედებოდა

<sup>80</sup> იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის N 10/ა-90/19 განჩინება.

არასრულწლოვნის წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი ქმედების ჩადენა. დაზარალებული მიეკუთვნება მონყველად პირთა კატეგორიას, რომლის მიმართ მეორეული ვიქტიმიზაციის გამორიცხვისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემცირდეს ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულზე ზემოქმედების საფრთხე. ამის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულზე ზემოქმედების საფრთხე რელევანტური იყო და პატიმრობა კვლავ წარმოადგენდა მართლმსაჯულების საფრთხის პრევენციის ერთადერთ უალტერნატივო საშუალებას.<sup>81</sup>

## 5.2. ინფორმაცია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთიერ მტკიცებულებებზე.

დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული ხელს შეუშლის გამოძიებას მტკიცებულებათა მოპოვებაში, წარმოადგენს მის მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის გამოყენების საფუძველს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შემდგომ, მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით, კვლავ უნდა გაგრძელდეს საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება. ბრალდებულის მიერ მათ მოპოვებაზე ხელის შეშლის მიმართ დასაბუთებულ ვარაუდს შესაძლებელია ქმნიდეს ის ფაქტი, რომ ბრალდებულს ჰქონდეს ინფორმაცია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთიერ მტკიცებულებათა ან დოკუმენტების მდებარეობის შესახებ. ამის გამო, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, სანამ საგამოძიებო ორგანო მიიღებს ინფორმაციას მათი მდებარეობის შესახებ, ბრალდებული მათ გაანადგურებს ან გადამალავს ისე, რომ შემდგომში შეუძლებელი გახდეს მათი მოპოვება. მაგალითისთვის, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით,<sup>82</sup> ბრალდებულ ნ.უ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით განესაზღვრა პატიმრობა. მას ბრალად ედებოდა წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა და ფლობა. მას შემდგომ, რაც პოლიციის ორგანოებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ ნ.უ. იყო ამ დანაშაულის ჩამდენი, მოხდა მისი პირადი ჩხრეკის ჩატარება, რა დროსაც მას სატრანსპორტო საშუალებაში აღმოაჩნდა თ.თ-ს ბინიდან მოპარული ნივთების ნაწილი, რომელიც ნ.უ.-ს შეძენილი ჰქონდა უშუალოდ დანაშაულის ამსრულებლისგან. საგამოძიებო ორგანოს მიერ

<sup>81</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 28 დეკემბრის N 1გ/1483-17 განჩინება.

<sup>82</sup> იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 ოქტომბრის N 10/ა-351/18 განჩინება.

მიღებული ინფორმაციით, ბრალდებულს სხვა ნივთები გადამალული ჰქონდა და მათი აღმოჩენის მიზნით საჭირო იყო შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების ჩატარება. ბრალდებული არ თანამშრომლობდა გამოძიებასთან. ბრალდებულის არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებაში ყოფნის შემთხვევაში, ის ხელს შეუშლიდა გამოძიებას მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვებაში, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ სანამ საგამოძიებო ორგანო მიიღებდა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად მდებარეობდა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები, ბრალდებული მათ გაანადგურებდა ან გაასხვისებდა. მას შემდგომ, რაც დასრულდა გამოძიება, წინასასამართლო სხდომაზე, ბრალდებულ ნ.უ.-ს შეეცვალა აღკვეთის ღონისძიება და განესაზღვრა გირაო. ბრალდებულის მხრიდან ინფორმაციის მოპოვებაში ხელის შეშლის საფრთხე არ არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული თანამშრომლობს გამოძიებასთან და თვითონ აწვდის ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ სად ინახება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები.

თუ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულმა ითანამშრომლა გამოძიებასთან და გამოძიებელს მიაწოდეს ინფორმაცია, საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მდებარეობის შესახებ, სასამართლომ არ უნდა დაადგინოს ბრალდებულის მხრიდან სხვა მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელის შეშლის საფრთხის არსებობა იმ ინტენსივობით, რომ ბრალდებულის მიმართ გამოიყენოს პატიმრობა. (მონმეებზე ზემოქმედების და ა.შ) როდესაც ბრალდების მხარე საუბრობს მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელის შეშლის საფრთხეზე, სასამართლო აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებამდე სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებასაც, თუ რა მნიშვნელობის არის სისხლის სამართლის საქმისათვის მოსაპოვებელი მტკიცებულება. თუ მოსაპოვებელ მტკიცებულებას არ აქვს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა და ის არ გამოდგება ბრალდების დასადასტურებლად, სასამართლო არ უნდა შეუფარდოს ბრალდებულს პატიმრობა.

თუ ბრალდებულს შეეფარდა პატიმრობა იმის, გამო, რომ ხელი არ შეეშალა გამოძიებისთვის მტკიცებულების მოპოვებაში და სხვა საფრთხე მისგან არ მომდინარეობს, მაშინ გამოძიების დასრულების შემდგომ აღარ არის საჭირო მისი პატიმრობაში დატოვება. წინასასამართლო სხდომაზე, როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება უკვე დასრულებულია, მოსამართლე ვალდებულია პირველივე სხდომაზე გადასინჯოს ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი. ამ საკითხის განხილვისას სასამართლო ათავისუფლებს ბრალდებულს პატიმრობიდან ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში. მაგალითისათვის ზემოთ ხსენებული ბრალდებული ნ.უ. გათავისუფლდა პატიმრობიდან

წინასასამართლო სხდომაზე.<sup>83</sup> ერთადერთი საფრტხე, რისი არსებობის გამოც გამოც  
ნ.უ-ს ჰქონდა შეფარდებული პატიმრობა, იყო ის რომ ის გაანადგურებდა საქმისათვის  
მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებებს. გამოძიების დასრულების შემდგომ, როდესაც  
უკვე აღარ მიმდინარეობდა ბრალდების ხმარის მიერ შემდგომი მტკიცებულებების  
მოძიება და სისხლის სამართლის საქმეზე დამაგრება, ბუნებრივია აღარ იყო საჭირო  
ბრალდებულის პატიმრობაში დატოვება. ამასთან მისი მიმალვისა და ახალი  
დანაშაულის ჩადენის მიმართ არსებული საფრთხეები არ იყო დასაბუთებული იმ  
დონეზე, რომ ნ.უ-ს მიმართ გამოყენებული ყოფილიყო პატიმრობა. ამის გამო იგი  
გათავისუფლდა პატიმრობიდან და შეეფარდა გირაო.

სასამართლო პრაქტიკაში, არც თუ იშვიათად გვხვდება გადანყვეტილებები,  
სადაც სასამართლო ადგენს ბრალდებულის მხრიდან მტკიცებულების მოპოვებაში  
ხელის შეშლის საფრთხეს და მას უფარდებს პატიმრობას. განჩინებაში მითითებულია,  
რომ სისხლის სამართლის საქმეზე ჩასატარებელია საგამოძიებო და საპროცესო  
მოქმედებები, დასანიშნია ექსპერტიზა და შესაბამისმა ექსპერტმა უნდა გასცეს დასკვნა,  
გამოსაკითხი არიან მოწმეები. ამის საფუძველზე, სასამართლო ბრალდებულს  
უფარდებს პატიმრობას, რაც დაუშვებელია. მაგალითისათვის, გორის რაიონული  
სასამართლოს 2019 წლის 23 იანვრის განჩინებით, ბრალდებულ შ.ბ.-ს განესაზღვრა  
პატიმრობა იმ მიზნით, რომ ხელი არ შეეშალა გამოძიებისთვის მტკიცებულებების  
მოპოვებაში. სასამართლომ გადანყვეტილება მხოლოდ იმ ფაქტით დაასაბუთა, რომ  
სისხლის სამართლის საქმეზე მოსაპოვებელი იყო მტკიცებულებები და არ მიუთითა,  
თუ რა ხერხებით და საშუალებებით შეეძლო ბრალდებულს გამოძიებისათვის  
მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელის შეშლა.<sup>84</sup>

იმისათვის, რომ მტკიცებულების განადგურების მიმართ დასაბუთებული  
ვარაუდი არსებულად ჩაითვალოს, აუცილებელია დადასტურდეს, რომ ბრალდებულს  
აქვს შესაძლებლობა ამ მტკიცებულების განადგურების. აღკვეთის ღონისძიების  
გამოყენების თაობაზე შუამდგომლობის განხილვის სხდომაზე, ბრალდების მხარემ  
შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა დაადასტუროს, თუ კონკრეტულად რა  
შესაძლებლობები აქვს ბრალდებულს იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს  
მტკიცებულებების მოპოვებას. „ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ  
საქმეზე *osuch v. poland* განმარტა, რომ მართლმსაჯულების ჯეროვნად  
განხორციელებაში ჩარევის საფრთხის შეფასებისას ხელისუფლების ეროვნულმა  
ორგანოებმა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით განახორციელონ  
ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება.<sup>85</sup> ბრალდებულის ასეთ

<sup>83</sup> იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 24 იანვრის საოქმო გადანყვეტილება, საქმე  
N 171231018005.

<sup>84</sup> იხ. გორის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 23 იანვრის N 10/ა-22-19 განჩინება.

<sup>85</sup> იხ. ნ. ხაინდრავა, ბ. ბოხაშვილი, თ. ხიდაშელი, წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან  
დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, 2010, გვ. 55

შესაძლებლობებზე უთითებს არაერთი გარემოება, მაგალითად ბრალდებული იცნობს და ახლო მეგობრული ურთიერთობა აქვს გამოსაკით მოწმესთან, ან ის არის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი ან ხელმძღვანელი, წარსულში არაერთხელ ყოფილა შემჩნეული ექსპერტების მოსყიდვასა თუ მათზე სხვაგვარად ზემოქმედების მოხდენაში, სხვა სისხლის სამართლის საქმეებზე, სადაც ის იყო ბრალდებული, მუდმივად ხდებოდა სასამართლოში მოწმეების მიერ ჩვენებების შეცვლა და სხვა. ეს გარემოებები სერიოზულ არგუმენტებად ჩაითვალება ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებლად. მხოლოდ ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ჩასატარებელია საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, არ არის საკმარისი არგუმენტი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოსაყენებლად. ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემდგომ, წინასასამართლო სხდომამდე კვლავ გრძელდება გამოძიება და საპროცესო ან საგამოძიებო მოქმედებები ყოველთვის არის ჩატარებული და თუ ეგ გარემოება არის ბრალდებულისათვის პატიმრობის შეფარდების საფუძველი, მაშინ ყველა ბრალდებულს შეიძლება შეეფარდოს პატიმრობა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *Polonsky vs. Russia* განაცხადა, რომ იმ საქმეებში, რომელშიც ეხება ორგანიზებულ დანაშაულს, იმის საფრთხე რომ ბრალდებული პატიმრობიდან გათავისუფლების შემთხვევაში ზემოქმედებას განახორციელებს მოწმეებზე ან ხელს შეუშლის გამოძიების სწორად წარმართვას გაცილებით დიდია, მაგრამ მას შემდეგ, რაც გამოძიება დაკითხავს მოწმეებს და მოიპოვებს სხვა სახის მტკიცებულებებს, მართლზომიერი აღარ იქნება ამ საფუძველით პირის პატიმრობაში დატოვება.<sup>86</sup>

მტკიცებულებების განადგურების საფრთხეს რეალურს ხდის ბრალდებულის ისეთ თანამდებობაზე მუშაობა, რომელიც მას საშუალებას აძლევს მოიპოვოს და გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები. ასევე, თუ საქმეზე დასაკითხი მოწმეები არიან მასზე სამსახურებრივად დამოკიდებული პირები, ეს მნიშვნელოვანი არგუმენტი შეიძლება იყოს ინფორმაციის განადგურების და პირის მიმართ პატიმრობის გამოყენებისათვის. სსსკ-ის 159-ე მუხლის ითვალისწინებს პირის თანამდებობიდან გადაყენების შესაძლებლობას, თუ თანამდებობაზე დარჩენით პირი ხელს შეუშლის გამოძიებას, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ან განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას. რადგანაც უპირატესობა ენიჭება უფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას და პატიმრობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს გამოყენებული, როდესაც უძლურია არასაპატიმრო ღონისძიებები, პროკურორის მიერ, თანამდებობაზე მყოფი ბრალდებული მიმართ, უმჯობესია მოთხოვნილ იქნეს თანამდებობიდან გადაყენება ამით განეიტრალებს ის საფრთხეები, რაც მომდინარეობს ბრალდებულის მიმართ. თანამდებობიდან

<sup>86</sup> იხ. იქვე, გვ. 79

გადაყენებული ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენება დასაშვები იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდება, რომ მიუხედავად თანამდებობიდან პირის გადაყენებისა, მაინც აქვს მას შესაძლებლობა ხელი შეუშალოს გამოძიებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე MAMEDOVA V. RUSSIA, განმარტა, რომ ვერ დაასაბუთეს თუ როგორ შეძლებდა განმცხადებელი მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევას, მოახდინეს იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების მომენტიდან ბრალდებულმა დატოვა მართლმსაჯულების დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტი და მას არ გააჩნდა მონმეებზე ზემოქმედებისა და მტკიცებულებათა განადგურების არავითარი შესაძლებლობა.<sup>87</sup>

## თავი 6. პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენება საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მაგალითზე

მეექვსე თავში განხილული იქნება თუ რა გარემოებები შეიძლება დაედოს საფუძვლად საერთო სამართლის და კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში პატიმრობის გამოყენებას. განხილული იქნება ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის და საერთოს სამართლის სახელმწიფოთა კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა და მოხდება მათი შედარება ქართულ სასამართლო პრაქტიკასთან და კანონმდებლობასთან.

### 6.1. პატიმრობის გამოყენება კონტინენტური სამართლის ქვეყნებში;

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პატიმრობა გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი დანაშაულის ჩადენის შესახებ, მაგრამ აუცილებელია ფორმალური საფუძვლების დასაბუთებულობა. დაპატიმრების საფუძველია: როდესაც ბრალდებული გაიქცა ან იმალება; ან არსებობს საშიშროება, რომ იგი თავს აარიდებს საგამოძებო ორგანოში ან სასამართლოში გამოცხადებას; ბრალდებულის ქცევა ადასტურებს სერიოზულ ეჭვს

<sup>87</sup> იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 80

იმის თაობაზე, რომ იგი გაანადგურებს, შეცვლის, გააყალბებს მტკიცებულებებს, ანდა არაკეთილსინდისიერი გზით მოახდენს ზემოქმედებას მონმეებზე, ექსპერტებზე, წააქეზებს სხვებს ანალოგიურ საქციელზე და ამით ხელს შეუშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. პირის დაპატიმრება შესალებელია მხოლოდ მოსამართლის წერილობითი ბრძანების საფუძველზე. ბრალდებულის დაპატიმრების შემდგომ, იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიყვანილი კომპეტენტურ მოსამართლესთან. მოსამართლეს უფლება აქვს გადაავადოს დაპატიმრების შესახებ ბრძანების აღსრულება, რომელიც გაცემული იქნა პირის მიმალვის რეალური საფრთხის ან ჭეშმარიტების დადგენის ხელის შეშლიდან გამომდინარე. თუ ნაკლებად რადიკალურ ზომებს შეუძლიათ უზრუნველყონ დაპატიმრების მიზნის მიღწევა, პატიმრობა შეიძლება შეიცვალოს ბრალდებულის სასამართლოში ან სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოში გამოცხადებით. ბრალდებულის გამოცხადების გარანტია შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნეს გირაოს შეტანით ან პირადი თავდებობით. აღნიშნული ზომები სისხლის საპროცესო იძულების დამოუკიდებელ ზომებს არ წარმოადგენენ. თუ ბრალდებული უხეშად დაარღვევს დაკისრებულ მოვალეობებს, მოსამართლეს შეუძლია მის მიმართ გამოიყენოს დაპატიმრება.<sup>88</sup>

გერმანიის კანონმდებლობით დასაშვებია ასევე პატიმრობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვაც. თუ პატიმრობა გრძელდება არა ნაკლებ 3 თვისა და ბოლო შემონმებიდან გავიდა არანაკლებ 2 თვე, ბრალდებულს უფლება აქვს დაპატიმრების შესახებ სასამართლო ბრძანების ძალაში დატოვების მიზნით შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს განმეორებითი ზეპირი სასამართლო შემონმების შესახებ.<sup>89</sup>

საფრანგეთში გვარეობითი ტერმინი "ალკვეთის ღონისძიებანი" არ გამოიყენება არც კანონში და არც ლიტერატურაში. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი თავი დასათაურებულია როგორც "წესები სასამართლო კონტროლისა და დროებითი პატიმრობის შესახებ." განცალკევებით დგას გირაო, თუმცა, ფორმალურად, იგი სასამართლო კონტროლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს.<sup>90</sup>

„საფრანგეთში წინასწარი მოკვლევის მიმდინარეობისას პირს შეიძლება შეეფარდოს „საპოლიციო დაპატიმრება. ე სშესაძლებელია მოხდეს პირის დაკითხვის მიზნით. საპოლიციო დაკავების ვადა განისაზღვრება 24 საათით, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ, სამხილების არსებობისას, პროკურორს შეუძლია ეს ვადა კიდევ 24 საათით გააგრძელოს. წინასწარი პატიმრობის ბრძანება შეიძლება გაიყოს,

<sup>88</sup> იხ. ვ. გუცენკო, ლ. გოლოვკო, ბ. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ. 536-537

<sup>89</sup> იხ. ვ. გუცენკო, ლ. გოლოვკო, ბ. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ. 538

<sup>90</sup> იხ. იქვე, გვ. 434-435

სასამართლოს წინაშე პირის დაუყოვნებლივი წარდგენის მიზნით. ეს არის სპეციალური პროცედურა, რომელიც გამოიყენება ეჭვმიტანილის დანაშაულზე წასწრებისას. დაპატიმრების ბრძანებას პროკურორის შუამდგომლობით გასცემს სასამართლოს თავმჯდომარე. იგი შეიძლება 5 დღე გაგრძელდეს, რომლის შემდეგაც დაპატიმრებული პირი წარედგინება საქმის არსებითად განსახილველ სასამართლო.<sup>91</sup>

როგორც ვხედავთ, გერმანიის და საფრანგეთის კანონმდებლობით განსაზღვრული პატიმრობის გამოყენების მიზნები არსებითად არ განსხვავდება სსსკ-ის 205-ე მუხლით განსაზღვრულ პატიმრობის გამოყენების მიზნებთან. პატიმრობა, ამ ქვეყნების კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორც უკიდურესი ღონისძიება. „არასაპატიმრო იძულებითი ღონისძიებებიდან თუ გერმანიის კანონმდებლობით უპირატესობა ენიჭება გირაოს და პირადი თავდებობის გამოყენებას, საფრანგეთში გირაოს გამოყენება არ ხდება ასეთივე ინტენსივობით და უპირატესობა ენიჭება ბრალდებულის გამოცხადების უზრუნველყოფის იმ ღონისძიებებს, რაც მოცემულია ასევე სსსკ-შიც.“<sup>92</sup> როგორც ზემოთ აღინიშნა, საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პატიმრობის გამოყენების ისეთ მიზანს ასახელებს როგორცაა საზოგადოებრივი წესრიგისათვის დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ეს იგივეა, რაც სამართლიანობის აღდგენის მიზანი, რაც შეიძლება ჰქონდეს სასჯელს და არა აღკვეთის ღონისძიებას. აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება მიზნად ისახავდეს ბრალდებულისათვის სამაგიეროს მიზლვას. ის ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველყოფის დროებითი ღონისძიებაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მომენტისათვის ბრალდებული ითვლება უდანაშაულოდ, ამ მომენტისათვის უტყუარად არ არის დადგენილი განახორციელა თუ არა ბრალდებულმა ქმედება, რომლითაც საზოგადოებას მიაღვა ზიანი და მისი ანაზღაურების მიზნით პირისათვის პატიმრობის შეფარდება დაუსაბუთებელია.

„ბელგიაში დაკავება მკაცრად რეგულირდება კანონით წინასწარი პატიმრობის შესახებ. პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს დაკავებული, როცა არსებობს სერიოზული ეჭვი მის წინააღმდეგ. პოლიციას შეუძლია დააკავოს პირი, მხოლოდ დანაშაულზე წასწრებისას. ამის მსგავსად, დაკავება შეიძლება აწარმოოს ნებისმიერმა კერძო პირმა, მხოლოდ იმ პირობით, თუ აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს სახელმწიფო ორგანოებს. ყველა შემთხვევაში, დანაშაულზე წასწრების შემთხვევების გარდა, პირის დაკავებაზე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ პროკურორი. წინასწარ პატიმრობაზე გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მოსამართლის კომპეტენციას შეადგენს. ის ფაქტი, რომ წინასწარი პატიმრობის შეფარდება მოსამართლის ბრძანებით ხდებოდა, ითვლებოდა ინდივიდის

<sup>91</sup> იხ. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. ავტ.

კოლექტ., ლონდონი, ბრიუსელი, დუბლინი, ედინბურგი, გვ.136-137

<sup>92</sup> იხ. კ. გუცენკო, ლ. გოლოვკო, ბ. ფილიმონოვი, დასახ. ნაშრომი, თბილისი, 2007, გვ. 434-435.

თავისუფლების დაცვის საკმაო გარანტიად. დაპატიმრების სანქციის მოტივირების გარდა, მოსამართლეს სხვა მოვალეობა არ ეკისრებოდა. დროთა განმავლობაში, მოსამართლის მოქმედების თავისუფლება თანდათან შეიზღუდა. წინასწარი პატიმრობის შესახებ 1990 წლის კანონის შესაბამისად, მოსამართლეს წინასწარი პატიმრობის სანქციის გაცემა შეუძლია მკაცრად განსაზღვრულ პირობებში, რომელთა არსებობაც მან პერსონალურად უნდა შეამოწმოს სანქციის გაცემისას, ბრალდებულის დაკითხვით. აღნიშნული პირობებია: ა) სერიოზული ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული; ბ) დანაშაულისათვის სასჯელის სახით უნდა იყოს გათვალისწინებული დაპატიმრება 1 წელზე მეტი ვადით. გ) წინასწარი პატიმრობა უნდა იყოს უკიდურესად აუცილებელი საზოგადოების უსაფრთხოების დასაცავად; დ) ამასთან ერთად უნდა არსებობდეს რისკი იმისა, რომ თავისუფლებაში მყოფი ბრალდებული ჩაიდენს ახალ დანაშაულს ან გაიქცევა, ან შეცვლის მტკიცებულებებს ანდა შეუთანხმდება მესამე პირს.<sup>93</sup>

## 6.2. პატიმრობის გამოყენება საერთო სამართლის ქვეყნებში.

პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა საერთო სამართლის სახელმწიფოთაგან განსაკუთრებით საინტერესოა ინგლისში, რადგანაც იქ ამ საკითხების დარეგულირებამ სათავე აიღო მრავალი ასეული წლის წინ. „საპროცესო იძულებით ღონისძიებებს ძიითადად ახორციელებს პოლიცია, რომლის უფლებებიც ამ სფეროში კოდიფიცირებულ იქნა 1984 წელს „პოლიციისა და სისხლისსამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ კანონის და მის საფუძველზე მიღებული პრაქტიკის კოდექსის სახით.“<sup>94</sup>

„ქმედებათა შორის, რომლებიც საპროცესო იძულების გამოყენებას იწვევს და ხორციელდება მოსამართლის წინასწარი სანქციის გარეშე უფრო მეტად სერიოზულს წარმოადგენს „საპოლიციო დაპატიმრება.“<sup>95</sup>

<sup>93</sup> იხ. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. ავტ. კოლექტ., ლონდონი, ბრიუსელი, დუბლინი, ედინბურგი, გვ. 40-41

<sup>94</sup> იხ. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. ავტ. კოლექტ., ლონდონი, ბრიუსელი, დუბლინი, ედინბურგი, გვ.102

<sup>95</sup> იხ. ვ. გუცენკო, ლ. გოლოვკო, ბ. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007. გვ. 135-136

ეს გავს სსკ-ში არსებულ დაკავებას. სსკ-იც ნებას რთავს გამომძიებელს, პროკურორს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფუნქციის მატარებელ პირს, რომ დააკავოს პირი იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაული. სსკ-ის თანახმად: „პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და მისი მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა, ალტერნატიული ღონისძიებით, რომელიც პროპორციულია სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და ბრალდებულის პირადი მონაცემებისა.“

„1984 წლის „პოლიციისა და სისხლისსამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ“ კანონმა, ცვლილებები შეიტანა პოლიციის მიერ რაღებულის დაკავებისა და მის მიმართ პატიმრობის გამოყენების არსებულ პრაქტიკაში. კანონი განსაზღვრავს სამი კატეგორიის შემთხვევებს, რომლებიც წარმოშობენ პირის დაკავების უფლებას. ზოგიერთი სპეციფიური დანაშაული „დაკავებადად“ ცხადდება თვით კანონი, ან მითითებულია ის წინაპირობები, რომელთა არსებობისას ქმედება ხდება „დაკავებადი.“ დანაშაული დაკავებადია, თუ იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5 ან მეტი წლის ვადით და ჩადენილია 21 წლის ასაკს მიღწეული, ნასამართლობის არმქონე პირის მიერ.“<sup>96</sup>

„პოლიციისა და სისხლისსამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ“ კანონი პოლიციას აძლევს უფლებას განახორციელოს პირის დაკავება სასამართლოს წინასწარი სანქციის გარეშე, თუ ა) უცნობია ეჭვმიტანილის ვინაობა ან მისამართი და ანდა არსებობს ეჭვი, რომ მან არ დაასახელა მისი ნამდვილი ვინაობა ან მისამართი; ბ) არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ დაპატიმრება საჭიროა ბრალდებულის მხრიდან ხალხზე ან ქონებაზე ფიზიკური ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად. გ) არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ რომ დაპატიმრებით თავიდან იქნება აცილებული ფიზიკური ზემოქმედება თვითონ ეჭვმიტანილზე; დ) დაპატიმრება საჭიროა ეჭვმიტანილის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის თავიდან ასაცილებლად. ე) საჭიროა ბავშვის ან სხვა უმწეო პირის დაცვა ეჭვმიტანილის მოქმედებებისაგან.<sup>97</sup>

როგორც საქართველოს, ასევე ინგლისის კანონმდებლობა საშუალებას იძლევა დაკავებული იქნეს პირი სასამართლოს განჩინების გარეშე. სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავების საფუძველებს „პოლიციისა და

<sup>96</sup> იხ. იქვე, გვ.102-103.

<sup>97</sup> იხ. კ. გუცენკო, ლ. გოლოვკო, ბ. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ. 137

სისხლისსამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ“ ინგლისის კანონი აყალიბებს 5 პუნქტად. ამ 5 პუნქტში არის დაკონკრეტებული ის შემთხვევები, როდესაც ბრალდებულის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს ახალი დანაშაულის ჩადენა, მიმალვა, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის განადგურება, რაზეც ასევე არის ზოგადი მითითება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც კონკრეტული შემთხვევების მოყვანის გარეშე, მაგრამ სსსკ-ისგან განსხვავებით, ინგლისის კანონმდებლობა სასამართლოს სანქციის გარეშე პირის დაკავებას ითვალისწინებს მისი დაცვის მიზნითაც. როგორც ზემოთ აღინიშნა, „პოლიციისა და სისხლისსამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ“ კანონი შესაძლებლად მიიჩნევს სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავებას თუ არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ დაპატიმრებით თავიდან იქნება აცილებული ფიზიკური ზემოქმედება თვითონ ეჭვმიჩნეულზე; ინგლისის კანონმდებლობა პირის დასაცავად იყენებს ისეთ შემზღვეველ იძულებით საპროცესო ღონისძიებას, როგორცაა „საპოლიციო დაპატიმრება“ ანუ დაკავება, რაც გაუმართლებელია. პირის დაკავების ამგვარი დათქმა არ გამომდინარეობს ევროპული კონვენციის მეხუთე მუხლიდან, სადაც მითითებულია პირის თავისუფლების აღკვეთისა და დაკავების წინაპირობები. თუ რომელიმე პირი აღიარებს მის მიერ ჩადენილ „დანაშაულს,“ გადანყვიტა გამოძიებასთან თანამშრომლობა, გამოძიებისთვის იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც უკავშირდება მაღალი თანამდებობის პირთა ან გავლენიან ბოროტმოქმედთა მიერ დანაშაულის ჩადენას, რის გამოც არსებობს სხვა პირთა მხრიდან მისი სიცოცხლის მოსპობის რეალური საფრთხე, შესაძლებელია ამ პირის უსაფრთხოებით მიღწეული იქნას გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისაგან დაცვა, მაგრამ ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მონმის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებითაც. სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისაგან დაცვის მიზნით პირის „საპოლიციო დაპატიმრება“ - დაკავება შესაძლებელია გამართლებული იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც ეს საფრთხე მომდინარეობს მხოლოდ დასაკავებელი პირისგან.

„დაკავების დასახელებული საფუძვლების გარდა, პოლიციას (და მოქალაქეს) აქვს უფლება დააკავოს პირი „მშვიდობის დარღვევისათვის.“ ნებისმიერ პირს შეუძლია დააკავოს მეორე პირი მისი თანდასწრებით ჩადენილი მშვიდობის დარღვევისათვის. ასევე მაშინ, როდესაც ქმედება ჯერ კიდევ არ ჩადენილა, მაგრამ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი ჩადენილ იქნება დაუყოვნებლივ. ასევე მაშინ როდესაც „მშვიდობის დამრღვევი“ ქმედება განხორციელდა და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი განახლდება, თუ მისი ჩამდენი არ იქნა დაკავებული.“<sup>98</sup>

<sup>98</sup> იხ.ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. ავტ. კოლექტ., ლონდონი, ბრიუსელი, დუბლინი, ედინბურგი, გვ.104

გარდა ე.წ. საპოლიციო დაპატიმრებისა, ინგლისური სამართალი იცნობს ასევე დაპატიმრებას სასამართლო ბრძანებით. ამასთან კავშირში უნდა იქნეს განხილული ე.წ. “bail”-ის ინსტიტუტი. დღეისათვის „ბაილის“ ინსტიტუტს არეგულირებს 1976 წლის კანონი „სისხლისსამართლებრივი იუსტიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ.“<sup>99</sup>

“BAIL”-ის ინსტიტუტი გავს ქართულ სამართალში არსებულ არასაპატიმრო აღკვეთ ღონისძიებას. „ინგლისში პირის ნებისმიერი დატოვება თავისუფლებაში რომლის მიმართაც არსებობს დაპატიმრების საფუძველი, განიხილება როგორც ბაილის ინსტიტუტის გამოყენება. ამ ინსტიტუტის ფაგლებში განასხვავებენ ე.წ. უპირობო ბაილს, როდესაც პოლიცია ან სასამართლო ტოვებს პირს თავისუფლებაში რაიმე დამატებითი პირობების გარეშე და პირობითი ბაილი, როდესაც რეალური პატიმრობის გამოყენებაზე უარი დაკავშირებულია გარკვეულ პირობებთან. პირობები შეიძლება იყოს პოზიტიური (გირაოს შეტანა, თავდებობით გათავისუფლება) ან ნეგატიური (არ შეასრულოს გარკვეული მოქმედებები, არ გავიდეს ვეცნის ფარგლებს გარეთ და სხვა)<sup>100</sup>

ის, რაც უპირობო ბაილის სახელითაა ცნობილი ინგლისურ სამართალში, ამას იცნობს აგრეთვე ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. კერძოდ: სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-5 ნაწილი სასამართლოს აძლევს უფლებას, რომ მან ბრალდებულის მიმართ, საერთოდ არ გამოიყენოს რომელიმე აღკვეთის ღონისძიება. ნეგატიური ბაილის - ანუ გარკვეულის აკრძალვების დაწესებით ბრალდებულის გათავისუფლების ინსტიტუტს იცნობს სსსკ-იც. სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულს შესაძლებელია აეკრძალოს გარკვეულ მოქმედებათა განხორციელება, მაგრამ ინგლისური სამართლისგან განსხვავებით ქართულ სამართალში აკრძალვა ბრალდებულის მიმართ გამოიყენება სხვა არასაპატიმრო აღკვეთ ღონისძიებებთან ერთად.

სისხლისსამართლებრივი იუსტიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ კანონის მე-4 მუხლის თანახმად: „პირს აქვს თავისუფლების უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც პირდაპირ არის გათვალისწინებული ამ კანონით.“<sup>101</sup> შესაბამისად, ქართული სსსკ-ის მსგავსად ინგლისურ სამართალშიც პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის ერთადერთი საშუალებაა ლეგიტიმური საპროცესო მიზნების მისაღწევად. როგორც ქართულ ისე ინგლისურ სამართალში ბრალდებულის მიმართ იძულებითი ღონისძიების გამოყენებისას, პირველ რიგში, განიხილება არასაპატიმრო იძულებითი ღონისძიების გამოყენების საკითხი და მათი

<sup>99</sup> იხ. კ. გუცენკო, ლ. გოლოვკო, ბ. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ. 143-144

<sup>100</sup> იხ. იქვე გვ. 145.

<sup>101</sup> იხ. იქვე, გვ. 144.

მიზანშეწონილობა. თუმცა „სისხლისსამართლებრივი იუსტიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ კანონი“ განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც ბრალდებულის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული ბაილის ინსტიტუტი და მის მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული პატიმრობა. ეს ის შემთხვევებია, როდესაც ბოლო დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის, პირის მიმართ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე უკვე იყო გამოყენებული ბაილის ინსტიტუტი. ინგლისში იგივე კანონი კრძალავს ბაილის ინსტიტუტის გამოყენებას, თუ პასუხისმგებამი მიცემული პირი წარსულში იყო მსჯავრდებული მკვლელობისთვის ან გაუპატიურებისთვის.<sup>102</sup>

ქართული სამართლისგან განსხვავებით, ინგლისის კანონდებლობა პირდაპირ განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც პირის მიმართ უნდა იქნას გამოყენებული პატიმრობა. ამგვარი გარემოებები ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. საქართველოში პირის მიმართ პატიმრობის გამოყენებისათვის მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მას დასაბუთებული ვარაუდით ბოლოს ჩადენილი დანაშაულის მომენტში ჰქონდა შეფარდებული არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, მაგრამ ეს გარემოება პირის მიმართ პატიმრობის გამოყენებას მაინც არ ავალდებულებს სასამართლოს. აგრეთვე, თუ პირი წარსულში ნასამართლევი იყო მკვლელობის ან გაუპატიურებისათვის, ესეც არ წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ ბრალდებულს აუცილებლად შეეფარდოს პატიმრობა. ქართულ სამართალსა და პრაქტიკაში, ამგვარი დანაშაულებისათვის წარსულში მსჯავრდება, მნიშვნელოვანი არგუმენტია იმის დასადასტურებლად, რომ ბრალდებული გააგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას, (მით უმეტეს, თუ ბრალი ედება ძალადობრივი დანაშაულის ჩადენაში) მაგრამ არ არსებობს კანონით დადგენილი რომელიმე გარემოება, რომელზე დაყრდნობითაც საქართველოში სასამართლო შეძლებდა ბრალდებულის მიმართ უპირობოდ პატიმრობის გამოყენებას. ქართულ სისხლის სამართალში ასევე გათვალისწინებულია ნასამართლობის გაქარწყლების წესებიც. ამას არეგულირებს სსკ-ის 79-ე მუხლი. ამავე მუხლის თანახმად: გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ პირი წარსულში ნასამართლევი იყო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, ამ ფაქტს ქართული სასამართლო მხედველობაში არ მიიღებს.

პირობითი ბაილის გამოყენების დროს, როდესაც პირი თავისუფლდება გარკვეულის პირობების შესრულების სანაცვლოდ, ბაილის პირობების დარღვევას, ინგლისში მოჰყვება როგორც სამართლებრივი ისე საპროცესო შედეგები. ბაილის პირობების დარღვევა წარმოადგენს დანაშაულს და ამავე კანონითვე არის

<sup>102</sup> იხ. კ. გუცენკო, ლ. გოლოვკო, ბ. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ. 144-145.

გათვალისწინებული ის, რომ ბაილის პირობების დარღვევის გამო, პირის მიმართ აღარ იქნეს გამოყენებული ბაილი და მას შეეთვარდოს პატიმრობა.<sup>103</sup>

საქართველოში აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევა, ბრალდებულის მიმალვის გარდა, შესაძლებელია გამოიხატოს ახალი დანაშაულის ჩადენაში, მტკიცებულების განადგურებაში, მონმეზე ზემოქმედების მოხდენაში, რათა მან მისცეს სასამართლოს ცრუ ჩვენება. ეს დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

სხვა საკითხია, აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევა თუ გამოიხატა ბრალდებულის მიმალვაში, ეს წარმოადგენს თუ არა დანაშაულს. სსკ-ის 381-ე მუხლით დასჯადია „ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა.“ სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით, კონკრეტული პირის მიმართ, განისაზღვროს კონკრეტული ვალდებულება, რომელიც ამ პირმა არ უნდა შეასრულოს. „ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ნიშნავს, რომ მოხელე ან სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი, საპატიო მიზეზის გარეშე აავითარ ზომებს არ იღებს ამ აქტებით მიღებული გადაწყვეტილების აღსასრულებლად, მიუხედავად იმისა, რომ მას მათი აღსრულების ვალდებულება აკისრია. მაგალიად სახელმწიფო ან კომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელი არ ასრულებს სასამართლოს განაჩენს, რომლითაც კონკრეტულ მუშაკს ჩამოერთვა გარკვეული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება და ტოვებს მას ძველ თანამდებობაზე.“<sup>104</sup>

სასამართლო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინებაში პირდაპირ უთითებს, რომ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ მან თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას. ბრალდებულის მხრიდან მიმალვა და სასამართლოში გამოუცხადებლობა წააგავს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობას - სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, იმ ნაწილში, რომელიც ეხება ბრალდებულის მიმალვისაგან თავის არიდებას, არის აბსტრაქტული. მართალია სასამართლო გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ აღკვეთის ღონისძიებას იყენებს იმ მიზნით, რომ ბრალდებულის მიმალვას, მაგრამ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გარდა, განჩინების სარეზოლუციო ნაწილი, არ აკისრებს ბრალდებულს კონკრეტულად რაიმე ვალდებულებას მისი მიმალვის თავიდან ასაცილებლად. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ბრალდებულის ქმედება, რაც

<sup>103</sup> იბ. იქვე, გვ. 145.

<sup>104</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მე-2. ავტ. კოლექტი., გვ. 336-337.

გამოიხატა მიმალვაში ეწინააღმდეგება სასამართლო გადაწყვეტილების საერთო სულისკვეთებას, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მას ბრალი დაუმძიმდეს და სსკ-ის 381-ე მუხლით დამატებით მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. სხვა შემთხვევაა, როდესაც სასამართლო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განჩინებით, სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულს დააკისრებს დამატებით ვალდებულებას გარკვეული პერიოდულობით გამომძიებელთან ან პროკურორთან მოცხადების თაობაზე და ბრალდებული ამ ვალდებულებას არ შეასრულებს. ამ შემთხვევაში ბრალდებული ახორციელებს, სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობას - სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობას, რადგანაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მას კონკრეტული ვალდებულება დაეკისრა, რომელიც მან არ შეასრულა. ის ფაქტი, რომ პირს ამ დროს ჰქონდა ბრალდებულის სტატუსი, არ თავისუფლებს მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებობისაგან.

ბრალდებულის მხრიდან აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პირობების დარღვევის შემთხვევაში, სსსკ-ის 200-ე მუხლის მე-7 ნაწილი პროკურორს აძლევს შესაძლებლობას, ბრალდებულის მიმართ, მოითხოვოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. ცალსახაა, რომ პატიმრობა ითვლება ყველაზე მკაცრ აღკვეთ ღონისძიებად, მაგრამ არასაპატიმრო აღკვეთ ღონისძიებებს შორის რომელია უფრო მკაცრი, ამასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული პრაქტიკა. მაგალითისათვის, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 23 სექტემბრის საოქმო განჩინებით, ბრალდებულ დ.ნ-ს, რომელმაც დაარღვია გირაოს გამოყენების პირობა, 10 000 ლარიანი გირაო შეეცვალა პირადი თავდებობით, რადგანაც სასამართლომ ჩათვალა, რომ პირადი თავდებობა იყო გირაოზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.<sup>105</sup>

საერთო სამართლის ქვეყანას წარმოადგენს ასევე აშშ, სადაც პატიმრობის ცნების ქვეშ ასევე მოიაზრება ადმინისტრაციული დაკავება და პირის ბრალდებულის სახით დაკავება.<sup>106</sup>

აშშ-ს კონსტიტუციის თანახმად, დანაშაულის ჩადენაში მხილებული პირის დაკავებისა და მისთვის პატიმრობის შეფარდებისათვის საჭირო ფაქტობრივი მონაცემების შეგროვების შემდგომ, პოლიციამ უნდა მიმართოს სასამართლოს და აღძრას შუამდგომლობა კონკრეტული პირის დაპატიმრების შესახებ ბრძანების გაცემის თაობაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა, აშშ-ს კონსტიტუცია უშვებს შესაძლებლობას, რომ პირი იქნეს დაპატიმრებული

<sup>105</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 23 სექტემბრის საოქმო განჩინება, საქმე N 004250416007

<sup>106</sup> იხ. კ. გუცენკო, ლ. გოლოვკო, ბ. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ. 307

სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, მაგრამ, პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს შესაძლებელია.<sup>107</sup>

საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით, რომელიც სასამართლოს განჩინების გარეშე დაკავებული პირის სასამართლოში წარდგენის კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს, (დაკავებიდან 48 საათში პროკურორმა უნდა მიმართოს სასამართლოს, ხოლო მიმართვიდან არა უგვიანეს 24 საათისა, სასამართლომ უნდა განიხილოს ბრალდებულის დაკავების კანონიერების და დაკავებული მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი) აშშ-ს კანონმდებლობა ასეთ ვადას არ ითვალისწინებს.

აღკვეთის ღონისძიების შეფარდება ხდება ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე. აღკვეთ ღონისძიებასთან დაკავშირებულ საკითხებს, განიხილავს სასამართლო. იმის გათვალისწინებით, თუ როგორია სისხლის სამართლის საქმის გარემოებები და იმის მიხედვით, თუ რა ინფორმაციას იძლევა ბრალდებულის პიროვნებაზე სისხლის სამართლის საქმის მასალები, ბრალდებულს შესაძლებელია შეერჩეს პატიმრობა, გირაო (ბაილ) ან პირადი ვალდებულება.<sup>108</sup>

პატიმრობა უცვლელი რჩება ან ინიშნება, როდესაც არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ ბრალდებული შეიძლება მიიმალოს, ხელს უშლიდეს მართლმსაჯულებას ან საფრთხეს წარმოადგენდეს გარშემომოფთათვის. თუ პატიმრობა უკვე განხორციელდა, მაშინ ასეთი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება გირაოთი განთავისუფლებაზე პირდაპირ უარით ან მისი ისეთი ოდენობით დანიშვნის გზით, რომელიც წინასწარვე ცნობილია, რომ არახელმისაწვდომია ბრალდებულისათვის. გირაოს თანხის სასამართლოს ანგარიშზე შეუტანლობა მიზეზის დაადგენის გარეშე ექვემდებარე პირის პატიმრობაში აყვანის საფუძველს.<sup>109</sup>

როგორც საქართველოში ისე აშშ-ში პატიმრობის გამოყენების საფუძველები ერთი და იგივეა. ორივე შემთხვევაში პატიმრობის გამოყენების დასაბუთება ხდება მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის და მტკიცებულებების განადგურების საფრთხეებიდან გამომდინარე. საქართველოს მსგავსად აშშ-ს კანონმდებლობაც ითვალისწინებს პირის პატიმრობაში ყოფნას გირაოს არგადახდის გამო. ამ შემთხვევაში, პირის მიმართ პატიმრობის გამოსაყენებლად, როგორც საქართველოს ისე აშშ-ს კანონმდებლობით მნიშვნელობა არ აქვს იმ მიზეზებს, თუ რატომ არ გადაიხადა ბრალდებულმა გირაო.

<sup>107</sup> იქვე, გვ. 307

<sup>108</sup> ვ. გუცენკო, ლ. გოლოვკო, ბ. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007 გვ. 309

<sup>109</sup> იხ. იქვე, 309

სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად: „თუ ბრალდებულმა, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეულია გირაო, დაარღვია ამ ღონისძიების გამოყენების პირობა ან კანონი, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. ამავე განჩინებით გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო უძრავი ქონება გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის ამოღების მიზნით, აღსასრულებლად მიიქცევა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“ სსსკ-იც გირაოს არგადახდის შემთხვევაში, არ ითვალისწინებს სხვა ალტერნატივას გარდა იმისა, რომ ბრალდებულს შეეფარდოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. მიუხედავად კანონის ასეთი მოთხოვნისა, საქართველოს სასამართლოები, გირაოს პატიმრობით შეცვლის გადაწყვეტილების მიღებამდე, ყურადღებას აქცევენ გირაოს არგადახდის მიზეზებს,<sup>110</sup> რასაც ქვემოთ უფრო ვრცლად განვიხილავთ.

აშშ-ში ასევე არსებობს აღკვეთის ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებს პატიმრობაში მყოფი პირის გათავისუფლებას გირაოთი, რომელთან ერთადაც, სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის მსგავსად, პირს ეკისრება სხვა არასაპატიმრო ვალდებულებები. ამასთან, როგორც სსსკ-ით ასევე აშშ-ს კანონმდებლობით ამომწურავად არ არის განსაზღვრული ეს ვალდებულებები და სასამართლოს შეუძლია თავად განსაზღვროს მათი შინაარსი, თუ ის უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას.<sup>111</sup>

## თავი 7. პატიმრობის გადასინჯვის და გირაოს პატიმრობით შეცვლის დროს სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული გარემოებები.

სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: „თუ ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი ისე, რომ არ აქვს მნიშვნელობა იმას, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდგომ, სასამართლო ვალდებულია თავისი ინიციატივით, ორ თვეში ერთხელ

<sup>110</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N 1გ-566-17 განჩინება.

<sup>111</sup> იხ. კ. გუცენკო, ლ. გოლოვკო, ბ. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007 გვ. 310.

მანც, განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი; სსსკ-ის 230-ე პრიმა მუხლიც იმეორებს იმავე შინაარსს. სსკ-ის 208-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: „თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოყენებული, ამ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, წინასასამართლო სხდომის გამართვის ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მისი დაკმაყოფილებიდან არაუგვიანეს 72 საათისა სასამართლო ინვეს მხარეებს, რათა დაადგინოს, აუცილებელია თუ არა აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვება.“ სსსკ-ის თანახმად, სამივე შემთხვევაში სასამართლო საკითხს განიხილავს სსსკ-ის 206-ე მუხლით დადგენილი წესით.

მართალია სსსკ-ის თანახმად, პატიმრობის გადასინჯვის საკითხის განხილვა უნდა მოხდეს სსსკ-ის 206-ე მუხლით გათვალისწინებული წესითა და სტანდარტით, მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სსსკ-ის 206-ე მუხლი შედგება 11 ნაწილისგან. სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია ის წესები, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ უნდა განიხილოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე; ამ მუხლის მე-8 ნაწილში მითითებულია წესები, რომელთა საფუძველზეც მაგისტრატმა მოსამართლემ უნდა განიხილოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ უკვე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გამოყენების თაობაზე; სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-10 ნაწილში კი მოცემულია ის წესები, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ უნდა განიხილოს პროკურორის წერილი ძებნილი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის დადასტურების თაობაზე; შესაძლებელია დაისვას შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-3, მე-8 და მე-10 ნაწილებით დადგენილი წესებიდან რომელი უნდა გამოიყენოს სასამართლომ ბრალდებულის მიმართ შეფარდებული პატიმრობის გადასინჯვის დროს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-3 და მე-8 ნაწილები საკითხის განხილვის სხვადასხვა პროცედურებს ადგენენ. სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-8 ნაწილი, ამავე მუხლის მე-3 ნაწილისგან განსხვავებით, სასამართლოს ავალებს შუამდგომლობის განხილვამდე შეამოწმოს მისი დასაშვობის საკითხი, რომლის ფარგლებშიც სასამართლომ უნდა გაარკვიოს წარმოდგენილი არის თუ არა ახალი მტკიცებულება, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესაძლებლობაზე. ასეთი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, სასამართლომ დასაშვებად უნდა ცნოს შუამდგომლობა და უნდა განიხილოს ის. შუამდგომლობის განსახილველად ამგვარ წინაპირობებს არ აწესებს სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილი. სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, აღკვეთის ღონისძიების თავდაპირველად გამოყენების თაობაზე შუამდგომლობა განხილულ უნდა იქნეს მისი წარდგენიდან 24 საათში, ხოლო დასაშვობის საკითხი განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოში შეტანილია შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ, რაც 24 საათიან ვადაში უნდა იქნეს გადანყვეტილი. დასაშვებად მიჩნეული შუამდგომლობის განხილვისათვის გამოიყენება საერო წესები. სსსკ-ის 206-ე

მუხლის მე-8 ნაწილი ითვალისწინებს ბრალდებულის პირველი წარდგენის შემდგომ ეტაპზე ვითარების შეცვლის ან ახალი გარემოების არსებობისას მხარის უფლებას თავიდან დააყენოს შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ, მაგრამ არა აღკვეთის ღონისძიების პირველად გამოყენებაზე.

სსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 230-ე პრიმა მუხლით და 208-ე მუხლით გათვალისწინებული პატიმრობის გადასინჯვასთან დაკავშირებული რეგულაციები მიღებული იქნა სსსკ-ში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ 2015 წლის 8 ივლისის საქართველოს კანონით და სასამართლო პრაქტიკაში დაისვა კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მომხდარიყო პატიმრობის გადასინჯვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, პატიმრობის გადასინჯვის საკითხის განხილვისას სასამართლოს კვლავ იგივე მოცულობით უნდა შეესწავლა სისხლის სამართლის სამეში არსებული გარემოებები, რომლებიც მიუთითებდა ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების აუცილებლობაზე, თუ გადანაცვლებების მიღება დამოკიდებული ყოფილიყო პატიმრობის გამოყენების შემდგომ გამოვლენილი ახალი გარემოებების შეფასებაზე.

ზემოთ აღნიშნული რეგულაციების შემოღებიდან დღემდე, სასამართლო პატიმრობის გადასინჯვის საკითხის განხილვისას ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ იმაზე, ბრალდებულისათვის პატიმრობის გამოყენების შემდგომ, გამოვლინდა თუ არა ახალი არსებითი ხასიათის გარემოება, რომელიც მიუთითებს, ბრალდებულის მხრიდან მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის და მტკიცებულებათა განადგურების საფრთხეების შესუსტებაზე, ანუ სასამართლო საკითხს განიხილავს სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული წესით. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ არსებითი ხასიათის გარემოება არ არსებობს, ეს საფუძველია პატიმრობის ძალაში დატოვებისა და პირიქით, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ არსებობს ასეთი გარემოება, ეს შეიძლება საფუძველად დაედოს პატიმრობის სხვა აღკვეთის ღონისძიებით შეცვლას. პატიმრობის გადასინჯვის დროს, სასამართლო კიდევ ერთხელ არ სწავლობს იმ გარემოებებს, რომელთა საფუძველზეც პირს განესაზღვრა პატიმრობა. ეს გარემოებები რადგანაც უკვე შეათვალა მოსამართლემ, მას დადგენილად და უტყუარად თვლიან და სხვა მოსამართლეები ამ გარემოებებს ხელმეორედ არ აფასებენ.

ახალგამოვლენილი არსებითი ხასიათის გარემოება, რაც შეიძლება უთითებდეს, რომ ბრალდებულისგან მომდინარე მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის და მტკიცებულების განადგურების საფრთხეები აღარ არსებობს, შეიძლება იყოს პროკურორის მიერ ბრალად წარდგენილი ქმედების უფრო მსუბუქ მუხლზე გადაკვალიფიცირებაზე არსებითად ასუსტებს ბრალდებულის მიმალვის საფრთხეს. თუ ბრალდებულს პატიმრობა შეეფარდა იმის გამო, რომ ხელი არ შეეშალა გამოძიებისთვის მტკიცებულებათა მოპოვებაში, არ გადაეშალა სისხლის სამართლის

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, პატიმრობის გადასინჯვის საკითხის განხილვისას ახალგამოვლენილი გარემოებად შესაძებელია ჩაითვალოს გამოძიების დასრულება, რადგანაც გამოძიების დასრულების შემდგომ აღარ ხდება მტკიცებულებების მოპოვება და შესაბამისად გამოძიების დასრულების შემდგომ გადამალავს თუ არა ბრალდებული მტკიცებულებას, ამას აღარ აქვს მნიშვნელობა. ახალგამოვლენილ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე პატიმრობის შეფარდების შემდგომ ბრალდებულის ჯანმრთელობის მნიშვნელოვნად გაუარესება, რის გამოც მას ერთმევა შესაძლებლობა ჩაიდინოს ძალადობრივი დანაშაული, გადამალოს მტკიცებულებები, ზემოქმედება მოახდინოს მოწმეებზე ან მიიმალოს. თუ ბრალდებულს პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული იმის გამო, რომ ზემოქმედება არ მოეხდინა მოწმეებზე, რათა მოწმეებს სასამართლოში არ მიეცათ ბრალდებულის მამხილებელი ჩვენება, მაშინ ახალგამოვლენილ გარემოებად ჩაითვლება ამ მოწმეთა სასამართლოში დაკითხვა. მათი სასამართლოში დაკითხვის შემდგომ, აღარ არსებობს პირის მიმართ პატიმრობის გამოყენების ის საფუძელი, რის გამოც შეეფარდა პატიმრობა თავდაპირველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებაში განმარტებულია, რომ „პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხის განხილვისას მხარის მიერ დასმული საკითხები და წარმოდგენილი მტკიცებულებები შეიძლება შეიცავდეს ისეთ ახალ ინფორმაციას რომელიც ვერ იქნებოდა მსჯელობის საგანი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას, თუმცა ეს ახალი გარემოებები მხოლოდ მაშინ უნდა გაითვალისწინოს მოსამართლემ, თუ მათი შეფასების შემდეგ სასამართლოს აშკარად ექმნება პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების მიზანშეწონილობის პირობები.“<sup>112</sup>

სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად: „თუ ბრალდებულმა დადგენილ ვადაში არ უბრუნველყო სასამართლოს მიერ გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადებოზიტო ანგარიშზე შეტანა ან უძრავი ქონების შეტანა, პროკურორი სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.“ სსკ-ის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად: „თუ ბრალდებულმა, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეულია გირაო, დაარღვია ამ ღონისძიების გამოყენების პირობა ან კანონი, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.“

<sup>112</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 28 დეკემბრის N 1გ/1483-17 განჩინება.

ბრალდებულის მიმართ გამოყენებული გირაოს პატიმრობით შეცვლას კანონი ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულმა არ შეიტანა გირაოს თანხა ან მის მიმართ არასაპატირო ალკვეთის ღონისძიების გამოყენების შემდგომ დაარღვია კანონი ან ალკვეთის ღონისძიების გამოყენების პირობა, კერძოდ მიიმალა, გაანადგურა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება ან დასაბუთებული ვარაუდით ჩაიდინა ახალი დანაშაული. მე-200 მუხლის მე-7 ნაწილი იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია დააკმაყოფილოს პროკურორის შუამდგომლობა და მას სხვა გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობა არ აქვს. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ მისი 2017 წლის 21 აპრილის გადანყვეტილებაში.<sup>113</sup> სასამართლომ განმარტა, რომ „სასამართლოს მიერ საკითხის შესწავლისა და შემოწმების გარეშე გადანყვეტა პირდაპირ ეწინააღმდეგება, როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების პრინციპებს, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს და გამორიცხავს რაიმე ცალკე არსებული პირობის არსებობას, რაც იმპერატიულად გამოიწვევდა პირის დაპატიმრებას. აღნიშნული ეწინააღმდეგება აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით დაცულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას (რომლის მიხედვითაც ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება) სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს მიერ გირაოს გადახდისათვის (ან გირაოს უძრავი ქონებით უზრუნველყოფისათვის) დაწესებული ვადის დარღვევის მხოლოდ თვით ფაქტი არ შეიძლება გახდეს პირისათვის შეფარდებული გირაოს პატიმრობით შეცვლის ერთადერთი და იმპერატიული საფუძველი და აუცილებლად უნდა დადგინდეს, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ბრალდებულის მიერ გირაოს თანხის შეგნებულად არ გადახდას, თუ საქმე გვაქვს გირაოს თანხის ვერ გადახდასთან, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს თავიდანვე, გირაოს ოდენობის დადგენის და მისი შეტანის ვადის განსაზღვრისას, როგორც ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნისას, ისე სასამართლოს მიერ გადანყვეტილების მიღებისას ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობების ან სხვა ობიექტური გარემოებების არასრულფასოვნად შესწავლის და რეალურად გაუთვალისწინებლობის შედეგად.<sup>114</sup>

გირაოს პატიმრობით შეცვლის საკითხის განხილვისას სასამართლო ასევე ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, გირაოს შეფარდების შემდგომ სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გააფრთხილეს თუ არა ბრალდებული იმ შედეგების შესახებ, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილში. თუ

<sup>113</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N 1გ/566-17 განჩინება.

<sup>114</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N 1გ/566-17 განჩინება.

გირაოს შეფარდების შემდგომ ბრალდებულს არ განემართა სსსკ-ის მე-200 მუხლის მესამე ნაწილის შედეგები, ბრალდებულის მიერ გირაოს პირობების დარღვევის შემთხვევაში სასამართლო ასევე არ უფარდებს ბრალდებულს უფრო მკაცრ აღკვეთის ღონისძიებას.

პატიმრობის სხვა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის საფუძველი არ შეიძლება გახდეს ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებები არ არის საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად და წინასწარვე ნათელია, რომ ყველა მტკიცებულების გამოკვლევის შემთხვევაშიც ვერ დადგება საქმეზე გამატყუნებელი განაჩენი.<sup>115</sup> ასეთ შემთხვევაში, სასამართლო პრაქტიკაში არცერთ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო რაიმე ახალი გარემოების გამოვლენის და მნიშვნელოვანი დასაბუთების გარეშე, წინასწარსამართლო სხდომაზე ან საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, ათავისუფლებს ბრალდებულს პატიმრობიდან. მოამართლის დასაბუთება ასეთ დროს შემოიფარგლება მხოლოდ იმით რომ მისი აზრით ბრალდებულს პირველი წარდგენის სხდომაზე მას სწორად არ ჰქონდა შეფარდებული პატიმრობა. სხვა შემთხვევაში კი, სასამართლომ ბრალდებულის პატიმრობაში დატოვების ტაობაზე გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს იმ დასაბუთებით, რომ არ არსებობს ახლადგამოვლენილი გარემოება, რაც მიუთითებდა ბრალდებულისგან მომდინარე საფრთხეების შესუსტებაზე. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა გაუმართლებელია. საკითხია ასე გადაწყვეტის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმეთა უმრავლესობაზე წინასწარვე ხდება ნათელი ის თუ რომელი განაჩენის გამოტანას აპირებს სასამართლო.

## თავი 8. საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი

მკაცრ სასჯელზე და ბრალად წარდგენილი დანაშაულის კატეგორიის მიხედვით პატიმრობის გამოყენება ხშირი იყო საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 2003 წლამდე პერიოდში. მოსაზრებას, რომ დასაბუთებული ვარაუდით განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირი უნდა იყოს საზოგადოებისაგან იზოლირებული, მხარდაჭერა ჰქონდა როგორც სასამართლო პრაქტიკაში, ასევე იმ დროისათვის დაწერილ იურიდიულ ლიტერატურაშიც. მაგალითად, ვ.ბენიძის სახელმძღვანელოში - დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის

<sup>115</sup> იხ. ვ. ბენიძე, დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბილისი, 2003, გვ. 82

აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები“ განხილულია ისეთი შემთხვევა, როდესაც პირმა სავარაუდოთ ჩაიდინა ყაჩაღობა, რა დროსაც მძიმედ დაშავდა და დასშულია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ამ პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი. იქვე აღნიშნულია: „უდავოა, რომ თავდამსხმელს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი და მისი იზოლაცია აუცილებელია.<sup>116</sup> გასათვალისწინებელია იმ პერიოდში არსებული სტატისტიკა პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით.

2003 წლიდან 2012 წლამდე პერიოდში პატიმრობის გამოყენების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილებები იყო შაბლონური. თითქმის ყველა სისხლის სამართლის საქმეზე პატიმრობის დასაბუთება ხდებოდა თითოეული საქმის ინდივიდუალურად განხილვის გარეშე, ზოგად და აბსტრაქტულ გარემოებებზე დაყრდნობით. პატიმრობის გამოყენების თაობაზე სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა მხოლოდ ბრალდებულთა სახელით და გვართ, საქმის ნომრით და ა.შ. და რაც შეეხება გადაწყვეტილების დასაბუთებას, ის იყო აბსოლუტურად ერთი და იგივე ყველა სისხლის სამართლის საქმეზე. მოცემულ შემთხვევაში ხდებოდა ერთი გადაწყვეტილების დასაბუთების უცვლელად გადატანა სხვა გადაწყვეტილებაში. თუ გადაწყვეტილების დასაბუთების შაბლონში დაშვებული იყო გრამატიკული შეცდომები, ისინიც ასევე უცვლელად გადადიოდა სხვა გადაწყვეტილებებში. პატიმრობის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება რეალურად ხდებოდა მხოლოდ ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმის გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით არაერთხელ იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებში<sup>117</sup> (ფაქურია საქართველოს წინააღმდეგ, ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, და სხვა.) სასამართლოს ამგვარი კრიტიკა გვხვდება 2003-2012 წლებში გამოცემულ იურიდიულ ლიტერატურაშიც.<sup>118</sup>

პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიმჩნევა 2012-2013 წლებიდან. ამ წლებიდან მცირდება სასამართლოების მიერ პატიმრობის გამოყენება, რაც ასევე ასახულია შესაბამის სტატისტიკაშიც. ამ პერიოდიდან ასევე იზრდება სასამართლოს მიერ პატიმრობის გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხი, ხდება თითოეული საქმის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება, თუმცა სასამართლო პრაქტიკაში პრობლემები მაინც შესამჩნევია.

<sup>116</sup> იხ. ვ. ბენიძე, დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბილისი, 2003, გვ. 72

<sup>117</sup> <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/facuria.pdf>

<sup>118</sup> იხ. ნ. ხაინდრავა, ბ. ბოხაშვილი, თ. ხიდაშელი, წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, 2010, გვ. 68

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმეს. ეს მნიშვნელოვანი განმაპირობებელია პატიმრობის ან არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების განსაზღვრისათვის. მაგალითისთვის, თუ პირს ბრალად წარდგენილი აქვს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, რომელიც არ არის ოჯახური დანაშაული, სასამართლო თითქმის არცერთ შემთხვევაში არ იყენებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობას, თუნდაც პროკურორის მიერ სრულყოფილად იყოს დასაბუთებული აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები. მაგალითისათვის, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით,<sup>119</sup> 238 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით ბრალდებულ დ.ნ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით განესაზღვრა გირაო. ბრალდებული ნასამართლევი იყო ცივი იარაღის გამოყენებით, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მკვლელობის მცდელობისათვის და სასჯელის მოხდიდან მალევე ის კვლავ ატარებდა ცივ იარაღს, ასევე იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ. ბრალდებული ნასამართლევი იყო სხვა ძალადობრივი დანაშაულთა ჩადენისათვისაც რგორიცაა (ცემა) და ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარება. ეს გარემოებები რეალურს ხდიდა ბრალდებულის საშიშროებას იმ ინტენსივობით, რომ მას შფარდებოდა პატიმრობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც პირს ბრალად წარდგენილი აქვს ყაჩაღობის, მკვლელობის მცდელობის, მკვლელობის დანაშაული ან სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული,<sup>120</sup> სასამართლო არასდროს იყენებს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებას. მოცემულ შემთხვევაში აშკარაა, რომ გადაწყვეტილების მიღება ხდება ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმედან გამომდინარე. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შეუძლებელია ზემოთ აღნიშნულ სისხლის სამართლის ყველა საქმეზე აღკვეთის ღონისძიების ფორმალური საფუძვლები დასაბუთებული იყოს იმ დონეზე რომ მოხდეს პატიმრობის გამოყენება.

ამ შემთხვევების გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხოლოდ ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმეს და ხელმძღვანელობს დაახლოებით ისეთივე რეკომენდაციებით, რომლებიც ასევე გამოქვეყნებულია უზენაესი სასამართლოს საიტზე<sup>121</sup> და რომელიც ადგენს სასამართლოთათვის იმ წესებს, რომელზე დაყრდნობითაც უნდა დაინიშნოს სასჯელი. ამგვარი რეკომენდაციები ხელს უშლის თითოეული საქმის ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლას და გადაწყვეტილების მიღებას მათ საფუძველზე. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში

<sup>119</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 18 ოქტომბრის N 10/ა-566/16 განჩინება.

<sup>120</sup> იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 16 აგვისტოს განჩინება, საქმე N 10/ა-260/18.

<sup>121</sup> იხ. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/reko.pdf>

სასამართლო ახდენს გადაწყვეტილებათა მიღებას მხოლოდ ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმის (განსაკუთრებით მძიმე ან ნაკლებად მძიმე) გათვალისწინებით და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის საჭირო ფორმალური საფუძვლების მოშველიება ხდება უკვე მიღებული გადაწყვეტილების გამართლებისათვის, რაც სასამართლო პროცესსაც ფორმალურად აქცევს და აზრს უკარგავს მხარეთა მიერ სასამართლოში მტკიცებულებების წარდგენას, მსჯელობას, სიტყვით გამოსვლას და სხვა საპროცესო მოქმედებებს.

არსებობს მუხლების კატეგორია სადაც აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას სასამართლო ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმის გარდა ყურადღებას აქცევს ასევე ისეთ გარემოებას, როგორცაა ბრალდებულის ნასამართლობა. იმ შემთხვევაში, თუ პირს ბრალად წარდგენილი აქვს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი ან სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილი, ის არ არის ნასამართლევი, ასევე არ არსებობს ისეთი გარემოება, რაც მკაცრ სასჯელთან ერთად დაადასტურებს ბრალდებულის მიმალვას, სასამართლო მას განუსაზღვრავს არასაპატიმრო აღკვეთ ღონისძიებას. თუ ამ მუხლებით ბრალწაყენებული პირი არაერთხელაა ნასამართლევი ანალოგიური დანაშაულის ჩადენისათვის, მაშინ მათ განუსაზღვრავს პატიმრობას იმ დასაბუთებით, რომ არსებობს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. იგივე შეიძლება ითქვას 117-ე მუხლის პირველ ნაწილზე<sup>122</sup> და სხვა განზრახი მძიმე კატეგორიის დანაშაულში ბრალდებული პირების საქმეებზე. იმ შემთხვევაში, თუ პირს ბრალი ედება განზრახი მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში, სასამართლომ შეიძლება პირს შეფარდოს გირაო ან პატიმრობა იმის მიხედვით, თუ როგორია სისხლის სამართლის საქმეში არსებული სხვა გარემოებები. ასეთ შემთხვევებში პირის მიმართ გირაოს ან პატიმრობის შეფარდების საკითხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებენ მხარეები თავიანთ პოზიციებს სასამართლოში, რა მტკიცებულებებს წარდგენენ ისინი მოსამართლეებს.

იმ შემთხვევაში თუ პირი ფაქტობრივად მიმალვაშია, ამ შემთხვევაში სასამართლო მის მიმართ იყენებს პატიმრობას. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის განხილვა ვერც გაგრძელდებოდა სასამართლოში. ბრალდებულის გარეშე საქმის განხილვას სსსკ-ი ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის ემალება გამოძიებას და თუ სასამართლო არ ჩათვლის, რომ ბრალდებული მიმალვაშია და არ შეუფარდებს პატიმრობას, მაშინ ვერ გააგრძელებს სისხლის სამართლის საქმის განხილვას, მაშინ ორდესაც ამ უკანასკნელისათვის სსსკ-ით დადგენილია შესაბამისი ვადები.

ცალკე უნდა აღინიშნოს სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც არსებობს ოჯახურ დანაშაულთან მიმართებაში. ოჯახურ დანაშაულში ბრალდებულ თითქმის ყველა პირს აღკვეთის ღონისძიების სახით ეფარდება პატიმრობა. დასაბუთება თითქოს ეხება საქმის ინდივიდუალურ თავისებურებებს. მასში მითითებულია, რომ ბრალდებული და

<sup>122</sup> იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 თებერვლის N 10ა/66/18 განჩინება.

დაზარალებული ცხოვრობენ ერთ სახლში, აქვთ ახლო ნათესაური კავშირი, ამის გამო ახალი დანაშაულის ჩადენის და მონაშენზე ზემოქმედების საფრთხეები არის მაღალი.

უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლიდან მართალია გაიზარდა გადაწყვეტილბათა დასაბუთების ხარისხი მაგრამ პრობლემად რჩება ის, რომ სასამართლოსთვის გადაწყვეტილების მიღება მთელ რიგ შემთხვევებში ხდება მხოლოდ ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმის გათვალისწინებით და არა იმის მიხედვით თუ როგორია აღკვეთის ღონისძიების ფორმალური საფუძვლების დასაბუთების ხარისხი. ე.წ. რეკომენდაციებს კვლავ დიდი მნიშვნელობა აქვს აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევას.

## თავი 9. პატიმრობის გამოყენების სტატისტიკური მონაცემები და მისი ანალიზი

სტატისტიკა გვაძლევს საშუალებას, რომ გადავხედოთ და შევაფასოთ სასამართლოს მთლიანი საქმიანობა. სხვადასხვა წლების სტატისტიკურ მონაცემებს შორის არსებული არსებითი ხასიათის განსხვავებები შესაძლებელია გახდეს მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საფუძველი.

2001 წელს განხილული იქნა 9774 შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და დაკმაყოფილდა 8696, ხოლო მათ შორის პატიმრობა შეეფარდა 5577 პირს ანუ 80 პროცენტს.<sup>123</sup>

2002 წელს განხილული იქნა 9963 შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და დაკმაყოფილდა 8848, ხოლო მათ შორის პატიმრობა შეეფარდა 5507 პირს ანუ 55,2 პროცენტს.<sup>124</sup>

2008 წელს საქართველოში აღკვეთის ღონისძიება შეეფარდა 17250 პირს. პატიმრობა გამოყენებული იქნა 7806 შემთხვევაში, რაც მთლიანად გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების 45,3 პროცენტია.<sup>125</sup>

2009 წელს საქართველოში აღკვეთის ღონისძიება შეეფარდა 16043 პირს. პატიმრობა გამოყენებული იქნა 8199 შემთხვევაში, რაც მთლიანად გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების 51,1 პროცენტია.<sup>126</sup>

<sup>123</sup> იხ. ი. გაბისონია, ი. გაბისონია, აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, 2003,., გვ.120

<sup>124</sup> იქვე გვ.120

<sup>125</sup> <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/3-sisxli2008.pdf>

<sup>126</sup> <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/7-arkvet2009.pdf>

2010 წელს საქართველოში აღკვეთის ღონისძიება შეეფარდა 14959 პირს. პატიმრობა გამოყენებული იქნა 8109 შემთხვევაში, რაც მთლიანად გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების 54,2 პროცენტია.<sup>127</sup>

2011 წელს საქართველოში აღკვეთის ღონისძიება შეეფარდა 13309 პირს. პატიმრობა გამოყენებული იქნა 6558 შემთხვევაში, რაც მთლიანად გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების 49,3 პროცენტია.<sup>128</sup>

2012 წელს საქართველოში აღკვეთის ღონისძიება შეეფარდა 9120 პირს. პატიმრობა გამოყენებული იქნა 3819 შემთხვევაში, რაც მთლიანად გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების 41,9 პროცენტია.<sup>129</sup>

2007 წლიდან 2012 წლის ჩათვლით პერიოდში პატიმართა რაოდენობა აღკვეთის ღონისძიებაზე ფარდებულ მთლიან პირთა რაოდენობის 41,9 პროცენტიდან 54,2 პროცენტამდე. ამ პერიოდში პატიმრობის გამოყენების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2012 წელს 41,9 პროცენტის სახით. 2013 წლიდან 2018 წლის ჩათვლით პერიოდში, პატიმართა რაოდენობა აღკვეთის ღონისძიებაზე ფარდებულ მთლიან პირთა რაოდენობის 26,8 პროცენტიდან 43,1 პროცენტამდე მერყეობს. ამ პერიოდში პატიმრობის გამოყენების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2018 წელს 43,1 პროცენტი სახით. ამ მონაცემებს შორის ყველაზე დიდი სხვაობა არის 2012 წელსა და 2013 წელს შორის. თუ 2012 წელს, პატიმართა რაოდენობა აღკვეთის ღონისძიებაზე ფარდებულ მთლიან პირთა რაოდენობის 41,9 პროცენტია, 2013 წელს იგივე მაჩვენებელი გახდა 26,8 პროცენტი. 2012 და 2013 წელს შორის ზემოთ ხსენებული მონაცემების სხვაობა არის 15,1 პროცენტი. ამ 2 წლის მონაცემებს შორის არსებული სხვაობა არის საკმაოდ დიდი და შეიძლება ითქვას უპრეცედენტოც. 2013 წლიდან პატიმართა რაოდენობა აღკვეთის ღონისძიებაზე ფარდებულ მთლიან რაოდენობასთან მიმართებით კლებულობს წინა წელთან შედარებით 15,1 პროცენტით და ეს ტენდენცია გრძელდება შემდეგ წლებშიც. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პატიმართა რაოდენობის შემცირება არ არის გამომწვეული აღკვეთის ღონისძიებაზე ფარდებული პირების საერთო რაოდენობის შემცირებით. 2013 წელს აღკვეთის ღონისძიებაზე ფარდებული პირების მთლიანი რაოდენობა უმნიშვნელოდ განსხვავდება მაგალითად 2011 წლის იგივე მაჩვენებელთან. განსხვავება აიხსნება იმით, რომ 2013 წლიდან, საქართველოში შეიმჩნევა, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებების შემცირება და პატიმრობის გამოყენების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებებიც გამოირჩევა შეფასების ინდივიდუალურობით და დასაბუთების შედარებით მაღალი ხარისხით.

<sup>127</sup> <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/agkvet.pdf>

<sup>128</sup> <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/7-arkv11.pdf>

<sup>129</sup> <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sisxi2012.pdf>

## დასკვნა

ნაშრომში განხილულია პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებული საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა. განხილულია ის საკითხები, საქართველოს პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოები რა გარემოებების გათვალისწინებით უაფარდებს პატიმრობას ბრალდებულებს და რა გარემოებების საფუძველზე ცვლის პატიმრობას აღკვეთის სხვა ღონისძიებით. რა წინაპირობებს ადგენს საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები პატიმრობის გამოსაყენებლათ; იგივე საკითხები ასევე განხილულია საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე. ნაშრომში ასევე განხილულია თუ როგორია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და შეფასებები პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით;

პატიმრობის და აღკვეთის სხვა ღონისძიებების არსებობა დაკავშირებულია უდანაშაულობის პრეზუმეციის არსებობასთან. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გამოტანამდე, ბრალდებული არ შეიძლება ჩაითვალოს დამნაშავედ და საჭიროების შემთხვევაში, მის შესაჩერებლად დაუშვებელია გამოყენებულ იქნეს სასჯელი, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულთა მხრიდან საფრთხე ემუქრება სხვა ადამიანის უფლებებს ან სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებს, აუცილებელი ხდება დროებითი იძულებითი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება.

ევროპული კონვენციის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, პატიმრობა არის უკიდურესი ღონისძიება და გამოიყენება როგორც გამონაკლისი და მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულის დანაშაულისაკენ მიდრეკილების გამო, სხვა საშალუალებით ვერ იქნება დაცული სხვა ადამიანის უფლებები, მართლმსაჯულების ინტერესები.

საქართველოში პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებული მოთხოვნები მეტნაკლებად დაცულია, თუმცა სასამართლო პრაქტიკაში დღემდე არსებობს არაერთი პრობლემა. ნაშრომში ასევე გადმოცემულია ეს პრობლემები და შემოთავაზებულია მათი გადაჭრის გზები.

დღემდე სასამართლოს პრობლემად რჩება ის, რომ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის განსაზღვრისას, გადამწყვეტია ის, თუ რა კატეგორიის დანაშაულის ჩადენა ედება ბრალად კონკრეტულ პირს. თუ პირს ბრალად წარდგენილი აქვს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, სასამართლო მას არ უაფარდებს პატიმრობას, თუნდაც დასაბუთებული იყოს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის

გამოყენებისათვის საჭირო ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები. ისეთი კატეგორიის დანაშაულებზე, როგორცაა მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა ან ყაჩაღობა, სასამართლო მუდმივად იყენებს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობას იმის მიუხედავად, თუ რა ხარისხითაა დასაბუთებული აღკვეთის ღონისძიების ფაქტობრივი საფუძვლები. ამ შემთხვევებში, ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმის საფუძველზე, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, ხოლო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივ და ფორმალურ საფუძვლებს იშველიებს იმისათვის, რათა გაამართლოს მის მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილება.

განზრახი მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე გადაწყვეტილების მიღებამდე, სასამართლო ყურადღებას აქცევს აღკვეთის ღონისძიების ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლების დასაბუთების საკითხს და ამის შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას თუ რომელი აღკვეთის ღონისძიება გამოიყენოს ბრალდებულის მიმართ. ხშირია შემთხვევები, როდესაც განზრახი მძიმე კატეგორიის დანაშაულში ერთი და იმავე მუხლით ბრალდებულ პირთა მიმართ სასამართლო სხვადასხვა აღკვეთის ღონისძიებას იყენებს, იმის მიხედვით, თუ როგორია აღკვეთის ღონისძიების ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლების დასაბუთება. ასეთ შემთხვევებში, სასამართლო ყურადღებას აქცევს ყველა გარემოებას. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის დადასტურება ძირითადად ხდება ბრალდებულის წარსული ნასამართლობის (რომელიც არ არის გაქარწყლებული) საფუძველზე. განზრახი მძიმე კატეგორიის საქმეებზე, მიმალვის საფრთხეს სასამართლო არ ასაბუთებს მხოლოდ სასჯელის სიმკაცრის საფუძველზე. თუ მკაცრი სასჯელის გარდა არ არსებობს სხვა გარემოება, რომელიც მნიშვნელოვანია ბრალდებულის შესაძლო მიმალვის დადგენისათვის, სასამართლო არ თვლის, რომ მიმალვის საფრთხე დადასტურებულია და მისი პრევენციისათვის არ იყენებს პატიმრობას. მიმალვის პრევენციისათვის პატიმრობის გამოყენება ხდება ისეთი გარემოებების გათვალისწინებით როგორცაა ბრალდებულის კავშირები საზღვარგარეთ, წარსულში სხვა სისხლის სამართლის საქმეზე მიმალვა, დაკავებისას, მიმალვის მიზნით, პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, დასაბუთებული ვარაუდით დანაშაულის ჩადენის შემდგომ ბრალდებულის მიმალვა (თუნდაც არ იცოდეს, რომ გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ ამგვარი შედეგები მისთვის მოსალოდნელი იყო) და სხვ. მტკიცებულებების განადგურების საფრთხეს სასამართლო ადასტურებს ბრალდებულის ახლო ნათესაური ან ახლო მეგობრული კავშირებით მოწმეებთან ასევე ბრალდებულის წინარე ქმედებებით, რომელიც მიზნად ისახავდა მტკიცებულებების განადგურებას.

პატიმრობის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება ბრალად წარდგენილი დანაშაული კატეგორიების მიხედვით, ხაზს უსვამს, რომ სასამართლოს

საქმიანობაში ჯერ კიდევ დიდი ადგილი უკვია ე.წ. რეკომენდაციებს.<sup>130</sup> ე.წ. რეკომენდაციები მოსამართლეს აძლევს ინფორმაციას თუ რა სასჯელი ან აღკვეთის ღონისძიება გამოიყენოს სხვადასხვა გარემოების არსებობისას, მაგალითად ბრალდებულის ნასამართლობისას, მისი თანამშრომლობისას და ა.შ. მაგრამ რეკომენდაციებში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია მოცემული იყოს ყველა ის გარემოება, რაზეც შეიძლება იმსჯელოს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას. რეკომენდაციები ხელს უშლის თითოეული საქმის ინდივიდუალურად განხილვას და ზღუდავს სასამართლოს შესაძლობას, გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს თითოეული საქმეში არსებული მნიშვნელოვანი გარემოებები სრულყოფილად.

---

<sup>130</sup> <http://www.supremecourt.ge/uniform-court-practice/recommendations-on-criminal-cases/>

# ბიბლიოგრაფია

## სამეცნიერო

## ლიტერატურა

1. ი. გაბისონია, აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, 2003.
2. საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, ავტ. კოლექტ. თბ., 2017.
3. ვ. ბენიძე, დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, 2003.
4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. ავტ. კოლ. თბ., 2015.
5. ნ. ხაინდრავა, ბ. ბოხაშვილი, თ. ხიდაშელი, წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი.
6. ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2012.
7. ტრექსელი. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. თბ. 2010წ.
8. საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, ავტ. კოლექტ., თბ., 2017.
9. კ. გუცენკო, ლ. გოლოვკო, ბ. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007.
10. ი. დვალიძე. სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები. თბ., 2013
11. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. ავტ. კოლექტ., ლონდონი, ბრიუსელი, დუბლინი, ედინბურგი, 2002.
12. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მე-2. ავტ. კოლექტ. თბ., 2017
13. საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა. ნ. მჭედლიძე, თბ., 2017.
14. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული, თარგმანი ლ. ჭელიძე, 2004.

## ნორმატიული მასალა

- 1 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2009
- 2 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 1999
- 3 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია 1950
- 4 პატიმრობის კოდექსი 2010;
- 5 საქართველოს კონსტიტუცია 1995

## სასამართლო გადაწყვეტილებები

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 ოქტომბრის N 10/ა-351/18 განჩინება.
2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 15 სექტემბრის N 10/დ-535/18 განჩინება.
3. გორის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 23 იანვრის N 10/ა-22-19 განჩინება.
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 23 აპრილის N 10/ა-1978-2019 განჩინება.
5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 ოქტომბრის განჩინება, საქმე N 10/ა-353/18
6. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 16 აგვისტოს განჩინება, საქმე N 10/ა-260/18.
7. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 მარტის განჩინება, საქმე N 10/ა-142/18
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის პირველი ნოემბრის N 10/ა-426/16 განჩინება.
9. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 ივლისის N 10/ა-232/18 განჩინება.

10. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N 10/ა-322/17 განჩინება.
11. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 5 აგვისტოს N 10/ა-239/18 განჩინება.
12. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 22 სექტემბრის N 10/ა-313/18 განჩინება.
13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 23 ივლისის N 1გ-714-14 განჩინება.
14. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 10 ოქტომბრის N 10/ა-335/18 განჩინება.
15. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 11 ივნისის N 10/ა-170/18 განჩინება.
16. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის პირველი მარტის N 10/ა-56/18 განჩინება.
17. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის N 10/ა-90/19 განჩინება.
18. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 24 იანვრის საოქმო გადაწყვეტილება, საქმე N 171231018005.
19. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 23 სექტემბრის საოქმო განჩინება, საქმე N 004250416007
20. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N 1გ-566-17 განჩინება.
21. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 28 დეკემბრის N 1გ/1483-17 განჩინება.
22. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 18 ოქტომბრის N 10/ა-566/16 განჩინება.
23. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 თებერვლის N 10ა/66/18 განჩინება.
24. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება N 1/1/548, პუნქტი 53.
25. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/4/809, პუნქტი 39.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. Buzadji v. Republic of Moldova - 23755/07; 05.07.2016

2. Patsuria v. Georgia – 30779/04. 06.11.2007

გამოყენებული ინტერნეტ საიტები:

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/3-sisxli2008.pdf>

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/7-arkvet2009.pdf>

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/agkvet.pdf>

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/7-arkv11.pdf>

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sisxli2012.pdf>

<http://www.supremecourt.ge/uniform-court-practice/recommendations-on-criminal-cases/>

[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":\["001-164928"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/facuria.pdf>

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/reko.pdf>